პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 24 ივლისი, 1946 წ. № 147 (7520). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სანიმუშოდ მოვემზადოთ ციტრუსების მყნობისათვის. მოწინავე (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ლი (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება: აქტივის სწავლება მივიწყებულია (მე-2 გვერდი).
ს. ბახრუშინი — საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავების კარგი მაგალითი (მე-2 გვერდი).
რ. შადური — თეატრალური სეზონის შედეგების შესახებ (მე-3 გვერდი).
მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები: დეპეშები (მე-4 გვერდი).

სანიმუშოდ მოვემზადოთ ციტრუსების მყნობისათვის

ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული მეურნეობა განუხრელად ვითარდება. კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდ მუშაობას ეწევიან საბჭოთა სუბტროპიკების აყვავების სტალინური პროგრამის განსახორციელებლად. ციტრუსოვანთა ბაღნარებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებანი. მარტო წელს ჩვენში ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის 1.000 ჰექტარი ახალი პლანტაციები გაშენდა. გეგმით გათვალისწინებული 975.000 ძირის ნაცვლად წელს 1.025.811 ძირი ციტრუსი დაირგო. მახარაძის რაიონში გეგმის გადამეტებით 96 ჰექტარი ციტრუსოვანი კულტურები დარგეს, ცხაკაიას რაიონში — 65 ჰექტარი. გეგმები გადამეტებით შეასრულეს მთელმა რიგმა სხვა რაიონებმაც.

მეოთხე სტალინური ხუთწლედი ითვალისწინებს საქართველოში ციტრუსოვანთა პლანტაციების გადიდებას 1945 წლის 18.000 ჰექტარიდან 29.000 ჰექტარამდე 1950 წელს. გარდა ამისა, ფართოდ დაინერგება ახალი ძვირფასი ჯიშები. მიღებული იქნება ზომები პლანტაციების მოსავლიანობის გასადიდებლად. ხუთწლედით დასახული ამოცანების შესრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სანერგე მეურნეობის განვითარებას. ჩვენ გვაქვს სანიმუშო სანერგე მეურნეობანი. იქ, სადაც ამ საქმეს სათანადო ყურადღებას უთმობენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ციტრუსოვანი კულტურების განვითარების ბაზაც შექმნილია. მომავალ წელს გასაშენებლად უკვე გამოყვანილია ბევრად მეტი ნერგი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს. მარტო მახარაძის რაიონმა გეგმის გადამეტებით დაამყნო და გაახარა 32.000 ძირი ციტრუსის ნერგი, ქობულეთის რაიონმა—40.000, სოხუმისა და ბათუმის რაიონებმა — თვითეულმა 60.000. გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 100.000-მდე სტანდარტული ნერგია გამოყვანილი, ნამყენის გახარება 94 პროცენტს აღწევს. მოწინავე კოლმეურნეებმა სილოვან ლაცუზბაიამ, ლიდა ფარფალიამ და მაშო შამათავამ თვითეულმა ათი ათასობით ციტრუსი დაამყნეს და ნამყენის 98 პროცენტამდე გახარებას მიაღწიეს. მთელ რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი მყნობის ოსტატებმა: ლანჩხუთის რაიონის სოფელ აგარაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ევგენი ბერაიამ, ბათუმის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში ალი მახარაძემ, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის, ნატანების, გურიანთისა და მაკვანეთის კოლმეურნეობებში მიხეილ ჩხაიძემ, კალისტრატე ნადირაძემ, ესმე პატარავამ, ზაქარია ფასიეშვილმა, მოსე ქათამიძემ. ისინი წლითიწლობით წარმატებით ასრულებენ მყნობის გეგმებს. ახლა საჭიროა გავავრცელოთ და დავნერგოთ მყნობის ამ ოსტატთა გამოცდილება, მივაღწიოთ იმას, რომ მომავალი წლებისათვის დასარგავად გვქონდეს საუკეთესო ჯიშის ციტრუსოვანი კულტურები, რომლებიც შემოწმებულია საწარმოო გამოცდილებით.

ციტრუსების მყნობის დრო მოახლოვდა. აგვისტოს პირველი რიცხვებიდან მყნობა მასობრივად გაჩაღდება. წელს გათვალისწინებულია დაიმყნოს 4.200.000 ძირი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი. დავალება სერიოზულია. მისი შესრულებისათვის აუცილებელია კარგად მოვემზადოთ. მყნობამდე დარჩენილი მთელი დრო ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ ახალი კადრების მოსამზადებლად, საძირეებისა და სადედე ხეების უკეთ მოსავლელად, სამყნობი დანების, შესახვევი მასალის, სალესებისა და სეკატორების მოსამარაგებლად. მარტო აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ მოკლევადიან კურსებზე 180 მყნობელი უნდა მოამზადოს, ზუგდიდის რაიონმა—60. სულ რესპუბლიკაში მომზადდება 500 კაცი.

მყნობის ხარისხი, ნერგის გამოსავლიანობა ძირითადად მხოლოდ მყნობელის მუშაობაზეა დამოკიდებული. მყნობა ისე უნდა ჩავატაროთ, რომ კვირტის გახარების დიდი პროცენტი მივიღოთ. აგრონომიული პერსონალი სოფლად ვალდებულია სათანადო დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებს მყნობის მაღალ დონეზე ჩატარებაში.

ციტრუსოვანთა მყნობა წელს უნდა ჩავატაროთ მხოლოდ ჯიშების მიხედვით. სანამყენე კალმები აუცილებელია ავიღოთ შემოწმებულ, საუკეთესო ჯიშის, კარგად განვითარებულ, უხვმსხმოიარე, საღ და ყინვის გამძლე სადედე ხეებზე. კალმების მისაღებად სადედეების შერჩევა უახლოეს დღეებში უნდა დავამთავროთ, შევადგინოთ მათზე აქტები, გავუკეთოთ გამოსაცნობი ნიშნები. დიდი მუშაობა მოელით სანერგე მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს. საჭიროა კიდევ უფრო „...ავამაღლოთ აგრონომების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და კოლმეურნეების პასუხისმგებლობა კალმების აღებისა და მყნობის დროს" (კ. ნ. ჩარკვიანი).

უახლოეს დღეებშივე უნდა გავაცნოთ თვითეულ კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშას ციტრუსოვანთა საზაფხულო მყნობის დარგში დასახული ამოცანები, ყოველ სანერგეს მივამაგროთ მცოდნე მუშაკები, რომლებიც გასწევენ სათანადო მუშაობას და მეურნეობის ხელმძღვანელებთან ერთად პასუხს აგებენ მყნობის გეგმების შესრულებისათვის. კადრების სწორად გამოყენებით, სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლით, სუბტროპიკული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები შესძლებენ მყნობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. ამით ისინი შექმნიან მტკიცე ბაზას ციტრუსოვანთა მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის, უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მაღალხარისხოვანი ნერგებით.

* * *

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

პროფკავშირული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებების შესახებ

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება საწარმოებსა და დაწესებულებებში პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება არჩევნების შესახებ.

საწარმო-დაწესებულებათა პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცათ რეგულარულად მოაწყონ პროფკავშირთა წევრების საერთო კრებები. საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ და სამქრო კომიტეტების საანგარიშო მოხსენებანი აუცილებელია მოსმენილ იქნას მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე წელიწადში ორჯერ მაინც. რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ უნდა ჩატარდეს საანგარიშო-საარჩევნო კრებები.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციათა ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ საჭიროა პროფკავშირულ დემოკრატიის მტკიცედ დაცვა, გულდასმით მომზადება საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის. ამ კრებებში მონაწილეობა უნდა მიიღოს საწარმო-დაწესებულების ყველა მუშაკმა.

პროფკავშირთა ცენტრალურმა, რესპუბლიკურმა და საოლქო კომიტეტებმა პროფკავშირთა წევრების — საანგარიშო-საარჩევნო კრებების მონაწილეთა ყურადღება უნდა წარმართონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის ამოცანების შესასრულებლად. (აკდესი).

კინოფილმ „დავით გურამიშვილის" წარმატება

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის კინოთეატრებში წარმატებით გრძელდება თბილისის კინოსტუდიის ახალი ფილმის „დავით გურამიშვილის" დემონსტრაცია. ფილმმა კარგი შეფასება ჰპოვა მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ფართო წრეებში.

გაზეთმა „ვეჩერნაია მოსკვამ" გუშინ დაბეჭდა ვრცელი რეცენზია, რომელშიც დაწვრილებით არის მოყვანილი ფილმის შინაარსი. რეცენზიის ავტორი, ამხ. ბელიავსკი სწერს, რომ ფილმი მკაფიოდ გადაუშლის მაყურებელს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ თავს. ფილმში წარმოსახული მოვლენები გვიჩვენებენ თუ როგორ ჩაისახა და განმტკიცდა რუსეთისა და საქართველოს მეგობრობა, რაც ორი საუკუნის შემდეგ, ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის შედეგად, გადაიქცა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან ოჯახში ამჟამად შესულ ამ სახელმწიფოთა ხალხების მტკიცე კავშირად. რეცენზიის ავტორი აღნიშნავს მსახიობ შავგულიძის თამაშს. მან შექმნა დავით გურამიშვილის დამაჯერებელი დასამახსოვრებელი სახე. აქტიორთა უმრავლესობამ წარმატებით განასახიერა ისტორიული პერსონაჟები. ყოველივე ეს ფილმ „დავით გურამიშვილს" საბჭოთა კინემატოგრაფიის საინტერესო ნაწარმოებად ხდის.

ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ლი

23 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ტრიუგვე ლი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი.

დარბაზობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვთან ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

23 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა მოსკოვში მყოფი ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ კლემენტ გოტვალდის მეთაურობით.

დარბაზობას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნ კლემენტ გოტვალდი, დელეგაციის წევრი — საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. მასარიკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ბ-ნი ვ. კლემენტისი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საელჩოს წევრები ელჩის ბ-ნ ი. გორაკის მეთაურობით.

გარდა ამისა, დარბაზობას დაესწრნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ტრიუგვე ლი, მოსკოვში აკრედიტებულ საელჩოთა და მისიათა მეთაურები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ი. როდიონოვი, სსრ კავშირის მინისტრები: ა. გ. ზვერევი, გ. ა. მიტერევი, ს. ვ. კაფტანოვი, ი. ტ. თევოსიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილენი ა. ი. ვიშინსკი და ს. ა. ლოზოვსკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილენი ა. დ. კრუტიკოვი, მ. რ. კუზმინი, ი. ფ. სემიჩასტნოვი, ადმირალი ლ. მ. გალერი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრიობისა და საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბრაზილიის ელჩი ბ-ნი მარიო დე პიმენტელ ბრანდაო

23 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბრაზილიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მარიო დე პიმენტელ ბრანდაო, რომელიც პირველი ვიზიტით გამოცხადდა.

მოსკოვიდან გაემგზავრა ირანის პრინცესა აშრაფ ფეხლევი

23 ივლისს მოსკოვიდან გაემგზავრა ირანის პრინცესა აშრაფ ფეხლევი ირანის წითელი ლომისა და მზის საზოგადოების თავმჯდომარის დრ ი. მარზებანის, გენერალ ი. შაფაისა და სხვათა თანხლებით.

ცენტრალურ აეროდრომზე პრინცესა აშრაფ ფეხლევი გააცილეს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. დ. დიაკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა მ. ა. სილინმა, გენერალ-ლეიტენანტმა ნ. ვ. სლავინმა, ს. გ. კულესნიკოვამ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა ფ. ფ. მოლოჩკოვმა, ს. ი. სიჩოვმა, რსფსრ განათლების სამინისტროს და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების წარმომადგენლებმა, აგრეთვე სსრ კავშირში ირანის ელჩის მეუღლემ ქ-ნმა რ. ახიმ და ირანის საელჩოს წევრებმა.

აეროდრომი მორთული იყო ირანისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია პარიზს გაემგზავრა

პარიზს გაემგზავრა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ა. მიხაილოვის მეთაურობით დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. (საკდესი).

ფიზკულტურული პარადის საგიმნასტო ვარჯიშის გამეორება

23 ივლისს „დინამოს" სტადიონზე ათეულ ათასობით მაყურებელთა თანდასწრებით გამეორებულ იქნა საგიმნასტო ვარჯიში, რომელიც ნაჩვენები იყო ფიზკულტურულ პარადზე ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

24 ივლისს „დინამოს" სტადიონზე კვლავ გამეორდება ფიზკულტურული პარადის დღეს ნაჩვენები პროგრამა.

უკანასკნელი ცნობები

ოსუბკა-მორავსკის სტატია

ვარშავა, 23 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „რობოტნიკმა" გამოაქვეყნა პრემიერ-მინისტრ ოსუბკა-მორავსკის სტატია, მიძღვნილი პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის შექმნის მეორე წლისთავისადმი. ოსუბკა-მორავსკი ადარებს პოლონეთის 1944 წლის 21 ივლისის მდგომარეობას, რაც შექმნილი იყო „რაჩკევიჩის, სოსნკოვსკის, მიკოლაიჩიკისა და კვაპინსკის ლონდონის უგუნური „მთავრობის" მიერ", ახლანდელი პოლონეთის მდგომარეობას და ჩამოთვლის იმ წარმატებებს, რომლებსაც პოლონელმა ხალხმა ორ წელიწადში მიაღწია. „ჩვენ დღეს გვაქვს, — სწერს ოსუბკა-მორავსკი, — ერთ-ერთი, უკეთესი აღმოსავლეთი საზღვარი, ვიდრე შეგვეძლო მიგვეღო 1944 წლის 22 ივლისს. პოლონეთის ლონდონის „მთავრობას" მაშინ შეეძლო მიეღო მხოლოდ უარესი, და არა უკეთესი საზღვრები; მეორე, დასავლეთი საზღვრები ლუჟიცის ნეისსა და ოდერზე შტეტინითა და სვინოუსტიეთი; მესამე, მოწესრიგებული ურთიერთობა სსრ კავშირთან, რაც საშუალებას გვაძლევს განმარტოებული ხალხი აღარ ვიყოთ საერთაშორისო ასპარეზზე და პაიკს არ წარმოვადგენდეთ დიდ თამაშში. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის კარგი ურთიერთობა იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ ჩვენი დასავლეთი საზღვრები ისეთია, როგორიც ახლა არის. მეოთხე, ორი წლის განმავლობაში ჩვენ გვყავდა მტკიცე მთავრობა, რომლის შემადგენლობაშიც ვცვლიდით მხოლოდ ცალკეულ მინისტრებს და მათ მაგიერ უფრო ძლიერებს ვაყენებდით. ჩვენ ვიცავდით ერთ პრინციპულად უცვლელ, თანმიმდევრულ და მტკიცედ გატარებულ პოლიტიკურ ხაზს".

„ამ ორი წლის პერიოდში ჩვენ გავატარეთ, — განაგრძობს ოსუბკა-მორავსკი, — დიდი სოციალურ-ეკონომიური რეფორმები — აგრარული რეფორმა, მრეწველობის ნაციონალიზაცია და ვახორციელებთ პოლონეთის მშრომელთა მთავარ მოთხოვნებს. ჩვენ ვაერთიანებთ და სწრაფად ვაუმჯობესებთ ჩვენს სახელმწიფოებრივ წყობილებას, ვახორციელებთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციას, ვაფართოებთ განათლებას, კულტურას, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ უზრუნველყოფას, მშრომელთა დასვენებას. ჩვენ გავაერთიანეთ და გავაფართოვეთ კოოპერაციული მოძრაობა, გავაერთიანეთ და შევადუღაბეთ დიდი ძალა — პროფკავშირული მოძრაობა, ჩავაბით იგი, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიები და ახალგაზრდობის ორგანიზაციები, დიდ მუშაობაში ჩვენი ქვეყნის აღსადგენად. ჩვენ მთლად ხელახლად შევქმენით პოლონეთის ჯარი.

ჩვენი ძალისა და შესაძლებლობის მიხედვით დავიცავით ჩვენი ხალხი შიმშილისა და ეპიდემიებისაგან, ინფლაციისაგან. ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი მრეწველობა ნანგრევებიდან და სწრაფად ვახორციელებთ ტრანსპორტის, ნავსადგურების, ვარშავის აღდგენას, ხელს ვადებთ სოფლისა და სასოფლო მეურნეობის აღდგენას.

შეუძლებელია ერთ სტატიაში მოცემულ იქნას ამ ორი წლის უდიდესი შრომის სურათი.

მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის დახმარებაც, რაც საზღვარგარეთიდან მივიღეთ. უწინარეს ყოვლისა არ არის ჩვენი ცხოვრების თითქმის არცერთი ისეთი დარგი, რომელშიც არ გვეგრძნო საბჭოთა კავშირის მეტი თუ ნაკლები დახმარება: სურსათი, მედიკამენტები, ნედლეული, ტრანსპორტი, სესხები, საჭურველი და სხვადასხვა. სერიოზული დახმარება მივიღეთ იუნრრასა და საზღვარგარეთის სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებისაგან.

ორი წლის მუშაობის ეს პერიოდი არა მარტო იმ სხვადასხვა სიძნელეებთან დაუღალავი ბრძოლის პერიოდი იყო, რომლებშიც ჩვენი სახელმწიფო ომის შემდეგ მოექცა, არამედ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ გულწრფელი, ძნელი და, ვფიქრობ, ნაყოფიერი მუშაობის პერიოდიც".

კუნმინში დახურეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ასოციაცია

შანხაი, 23 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლიანხოჟიბაო" იუწყება, იუნანის პროვინციის (სამხრეთ-დასავლეთი ჩინეთი) ხელისუფლებმა დახურეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ასოციაცია კუნმინში.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კუნმინის კულტურული ასოციაციის შენობაში მოაწყეს ჩხრეკა, რომელიც 11 საათს გაგრძელდა. დაპატიმრებულია 3 კაცი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. **ქვაშალი** ალექსანდრა (საშა) ალმასხანის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ბოხვაურის კოლმეურნეობის წევრი;
2. **კრიკუნოვა** მარიამ თედორეს-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის კოლმეურნეობის წევრი;
3. **კირაკოსიანი** სათენ გევორქის-ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ დილიფის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. **მარგალიტაძე** სოფიო სოსოს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ხეფერთელაძე** ფიდოსი იასეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ხურგულაძე** ასმათი გიორგის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ტუღუში** ეკატერინე (კატო) გიგოს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ხვარბეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. **აღნიაშვილი** ბარბარე ზაქარიას-ასული — თბილისის რაიონის სოფელ თხინვალის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **არუთინოვა** მარიამ კარაპეტის-ასული — დიასახლისი, დაბა ავჭალა, თბილისის რაიონი;
3. **ბალახანიმ** მამედ ყიზი — თბილისის რაიონის სოფელ სოღანლუღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **გელაძე** ანა იაგორის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ საცხენისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **გუგუნაშვილი** ეკატერინე გრიგოლის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ საცხენისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **დოლიძე** ეგრაფოს კონსტანტინეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალის კოლმეურნეობის წევრი;
7. **კილურაძე** ლუბა მაქსიმეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ვანისქედის კოლმეურნეობის წევრი;
8. **ნამგოშვილი** ოლღა გიორგის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ გლდანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **სურგულაძე** მარიამ ეფსტოლეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ნაღობილევის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ფახრახან** ასან ყიზი — თბილისის რაიონის სოფელ სოღანლუღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ჭანიშვილი** სოფიო ექვთიმეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. **აბუაშვილი** ნინო გიორგის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ალიხანოვა** ქეთევან ილარიონის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ ნორიოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ახლამაზოვა** მართა გეურქას-ასული — დიასახლისი, სოფელი თელეთი, თბილისის რაიონი;
4. **ახლამაზოვა** ნინო ალექსის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ ზემო თელეთის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ახლამაზოვა** საბედა ნერგოს-ასული — თბილისის რაიონის სოფელ თელეთის კოლმეურნეობის წევრი;
6. **ზაქარიაძე** ეფროსინე ხუტუს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ჰალის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **თავართქილაძე** ეკატერინე ყაისარის-ასული — დიასახლისი, ქ. მახარაძე, მახარაძის რაიონი;
8. **თავდიშვილი** ელენე ფილიპეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ლადიჟენსკაია** მართა თედორეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ბაღდადის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **მაისურაძე** ბარბარე ივანეს-ასული — თბილისის რაიონის სოფელ გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **მამინაშვილი** თამარ გაბრიელის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **მენაბდე** ვასასი იასეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ბოხვაურის კოლმეურნეობის წევრი;
13. **მერაბოვა** მარიამ გაბრიელის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ ზემო ლისის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **მუჯირი** ლიდა სამუელის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
15. **სამქუაშვილი** ეკატერინე ივანეს-ასული — თბილისის რაიონის სოფელ მარტყოფის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
16. **ხუციაზოვა** ანა გარსის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ კუმისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
17. **ტაბლიაშვილი** ნინო ივანეს-ასული — თბილისის რაიონის სოფელ მარტყოფის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
18. **ფირიაშვილი** ქაქა მოსეს-ასული — თბილისის რაიონის სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
19. **ღვინიანიძე** მაშო სოლომონის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
20. **ხმელიძე** ტერეზა ისაკის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. **ვასაძე** ნადეჟდა ნიკოს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მერიის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ვაშაყმაძე** ვერა ვასილის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **გოგატაძე** თამარ სოლომონის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **დოლიძე** სოფიო იასეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალის კოლმეურნეობის წევრი;
5. **მარანდია** მატრონა გრიგოლის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ექადიის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **თოიძე** თინათინ იასეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ლომჯარია** ნინო ქიშვარდის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **მაისურაძე** პელაგია იოსების-ასული — თბილისის რაიონის სოფელ გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **მამნიაშვილი** ელენე ილარიონის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ ნორიოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **მამნიაშვილი** ნინო იასონის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ ნორიოს ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **მამუჩაშვილი** თამარ სიმონის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ დიღმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **მახმა** ახმედ ყიზი — თბილისის რაიონის სოფელ მსხალდიდის კოლმეურნეობის წევრი;
13. **მგელაძე** ელენე კონსტანტინეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **მდივანოვა** შუშანა არუთინის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
15. **მიშირიაკოვა** ფედოსი თაკიმეს-ასული — დიასახლისი, დაბა ავჭალა, თბილისის რაიონი;
16. **მძევაშვილი** ნინო პეტრეს-ასული — თბილისის რაიონის სოფელ დიღმის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
17. **მჭედლიშვილი** ნატალია პორფილეს-ასული — თბილისის რაიონის სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
18. **სალუქვაძე** ელისაბედ სიმონის-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
19. **სიხარულიძე** ოლღა სტეფანეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
20. **შოშიტაშვილი** სოფიო ბართლომეს-ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
21. **ჩოთირიძე** შუშანა არტემის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
22. **წივილაშვილი** ქეთევან ივანეს-ასული — თბილისის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
23. **ჯანიაშვილი** ნატალია ანტონის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
24. **ჯანიაშვილი** სოფიო ნიკოლოზის-ასული — თბილისის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1946 წ. 15 ივნისი, ქ. თბილისი

მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებულია 113.049 ჰექტარზე

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობებით, 20 ივლისისათვის მარცვლეული კულტურების მოსავალი აღებული იყო 113.049 ჰექტარზე. მოსავლის აღების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 32,1 პროცენტით.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში პურეულის მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 1,8 პროცენტით, ქუთაისის რაიონში — 100,0, სამტრედიის — 85,0, წულუკიძის—53,0, მაიაკოვსკის — 15,3, ზესტაფონის — 58,5, ჭიათურის — 9,6, საჩხერის—19,7, ორჯონიკიძის—43,3, ამბროლაურის — 8,1, ახალციხის—6,9, ადიგენის — 0,7, ასპინძის—3,3, ხაშურის — 25.4, ქარელის—21.4, გორის — 11.8, კასპის—21,2, ბორჯომის — 3,9, დუშეთის—8,3, თეთრი წყაროს — 27,9, გურჯაანის—94,3, კაჭრეთის — 59,1, სიღნაღის — 60,5, წითელწყაროს — 56,9, თელავის — 85,4, ახმეტის — 61,2, ყვარლის — 94,1, ლაგოდეხის—100,0, თბილისის—33,7 მცხეთის—48,1, ყარაიის — 100,0, ბორჩალოს — 63,4, ბოლნისის — 73,3, საგარეჯოს—22,1, ბაშკიჩეთის რაიონში—22,2 პროცენტით.

ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

აქტივის სწავლება მივიწყებულია

ჩვენს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივს დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული. აქტივის ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ სამეურნეო დავალებათა წარმატებით შესრულება უზრუნველჰყოს, არამედ ისიც, რომ განათლება და კულტურა შეჰქონდეს მასებში, განუხრელად ამაღლებდეს მშრომელთა შეგნებულობის დონეს. ამ მოვალეობის შესრულებას აქტივი მხოლოდ მაშინ შესძლებს, თუ იგი თავის თავს მკაცრ მოთხოვნას უყენებს, თუ თვითონ დაუღალავად სწავლობს, სისტემატურად მუშაობს თავისი თეორიული გამოწრთობისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისათვის.

აქტივის სწავლებას ორგანიზაცია ესაჭიროება. თვითდინებით ეს საქმე არ გაკეთდება. პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა სწორედ ის არის, რომ უხელმძღვანელონ აქტივის თეორიულ ზრდას, დახმარება და კონტროლი გაუწიონ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ნაშრომების შემსწავლელ ამხანაგებს. სამწუხაროდ, ამ მოვალეობას კარგად ყველა პარტიული კომიტეტი როდი ასრულებს. მათ რიცხვშია საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიონული კომიტეტი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი და მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება (გამგე ამხ. გობეჯიშვილი) როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ რაკი კადრების მარქსისტულ-ლენინური სწავლების ძირითად მეთოდს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს, ეს მათ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან უხელმძღვანელონ და კონტროლი გაუწიონ პარტიული და სამეურნეო აქტივის თეორიულ სწავლებას. პირდაპირ შეიძლება ითქვას, თელავის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში აქტივის აღზრდისადმი ხელმძღვანელობა მივიწყებულია.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს წელიწადზე მეტია ერთხელაც არ განუხილავს აქტივის თეორიული სწავლების საკითხი. ხელმძღვანელი პარტიულ-სამეურნეო აქტივი, რომელიც 100-ზე მეტ კაცს აერთიანებს, რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ყურადღების გარეშეა დატოვებული. რაიონულ კომიტეტში არ იციან, ვინ როგორ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ვის რა თეორიული მომზადება აქვს.

ჯერ კიდევ 1945 წლის იანვარში მოეწყო რაიონული აქტივის სემინარი. იმავე წლის მარტამდე ჩატარდა სულ ოთხი მეცადინეობა, რის შემდეგაც სემინარმა მუშაობა შესწყვიტა. რვა თვის განმავლობაში სემინარი არავის გახსენებია. მხოლოდ 1945 წლის ოქტომბერში აქტივის სემინარი კვლავ შეიქმნა, ამჯერად ორი ჯგუფი—მაღალი ტიპისა და დაბალი ტიპისა. განისაზღვრა მეცადინეობის ცხრილიც. სემინარს თვეში ორჯერ უნდა ემეცადინა. ამით დამთავრდა ყველაფერი. სემინარი მეცადინეობას არ შესდგომია,

პარტიული და სამეურნეო აქტივის სწავლებისადმი ასეთ უყურადღებობას რაიკომის მუშაკები ხელმძღვანელი ამხანაგების „სამეურნეო გადატვირთვით" ხსნიან.

რაიონულ კომიტეტში არ ეწყობა აქტივის შეკრებები, აქტივისათვის არ ტარდება თეორიული საუბრები, ლექციები და მოხსენებები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. [illegible] სრულიადაც ვერ უპასუხებენ რაიონული აქტივის თეორიული მომზადების ამაღლების ამოცანებს.

სათანადო დონეზე ვერ დგას პარტიული კაბინეტის მუშაობა (გამგე ამხ. ალ. გვენცაძე). პარტკაბინეტს დღემდე არა ჰყავს კონსულტანტები. ცხადია, არც კონსულტაციები იმართება. აქ არ ზრუნავენ პროპაგანდისტებისა და წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის ლიტერატურის შესაძენად, ამ ლიტერატურით სარგებლობის გასაადვილებლად. განსაკუთრებით ცოტაა მასალები მეოთხე სტალინური ხუთწლედის საკითხებზე. პარტკაბინეტი მოუწყობელია, მოთავსებულია შეუფერებელ ბინაში, აკლია ინვენტარი. მისი მოწყობისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი არ ზრუნავს.

აქტივის სწავლებისადმი ხელმძღვანელობის უგულებელყოფას შედეგად ის მოჰყვა, რომ ბევრმა ამხანაგმა შესწყვიტა თავის თავზე მუშაობა, ჩამორჩა პოლიტიკურად და თეორიულად. რაიონის ბევრ ხელმძღვანელ მუშაკთან საუბარმა ცხადჰყო, რომ მათი საგრძნობი ნაწილი არ მუშაობს თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის. დამახასიათებელია მშრომელთა დეპუტატების თელავის რაისაბჭოს აღმასკომისა და ქალაქისსაბჭოს აღმასკომის პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანებულ კომუნისტთა მომზადების მეტად დაბალი დონე. თვით რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ყუშიტაშვილი აცხადებს, რომ უკანასკნელ წლებში მას, „სამეურნეო გადატვირთვის გამო", სრულიად არ უმუშავნია თავის თავზე. ამიტომ ის ვერ ერკვევა პარტიის ისტორიის მრავალ ელემენტარულ საკითხში. გაზეთ „ისკრას" დაარსების თარიღად მან დაასახელა 1907 წელი. სრულიად ვერაფერი სთქვა პარტიის მეორე ყრილობის შესახებ. ასეთსავე უცოდინარობას ამჟღავნებენ რაისაბჭოს აღმასკომის ფინგანის გამგე ამხ. სიდამონიშვილი და სხვები.

პარტიულ კაბინეტს აქვს 1944 წელს შედგენილი ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ მუშაობს რაიონში დამოუკიდებლად მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე. ამასთან, ეს „ცნობები" მოიცავს არა რაიონში არსებულ 93 პირველად პარტიულ ორგანიზაციას, არამედ მხოლოდ 24-ს. რაიონში სულ 1.375 კომუნისტია. აქედან, თუ 1944 წლის აღრიცხვას დავუჯერებთ, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეებში გაერთიანებულია 150 კაცი, დამოუკიდებლად სწავლობს—284 კაცი, სწავლების გარეშე დარჩენილია 941 კაცი. ძნელია წარმოვიდგინოთ ამაზე უფრო უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისადმი.

თელავის აბრეშუმის ძაფსალებ ფაბრიკაში (პარტბიუროს მდივანი ამხ. გვარამაძე) 100-ზე მეტი კომუნისტი მუშაობს. მათი დიდი ნაწილი ნაკლებ მომზადებულია. პარტბიურო დახმარებას არ უწევს კომუნისტებს კონსულტაციებით, თეორიული საუბრებით. გამოცდილების ურთიერთგაზიარება არ ეწყობა. ფაბრიკაში არც პოლიტწრე არსებობს. ბევრი ამხანაგი აქ ელემენტარულ საკითხებშიც ვერ ერკვევა.

ასეთივე მდგომარეობაა წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში. აქ პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ბექუაშვილი) 45 წევრი და 10 კანდიდატი ირიცხება. ბევრი მათგანი უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტია. [illegible] სხვები, სრულიად ვერ ზრუნავს თავისი იდეური მომზადების დონის ამაღლებისათვის.

აკურის და ქვემოხოდაშნის სასოფლო საბჭოების პარტიულ ორგანიზაციებში ჯერაც არ დაუწყიათ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის კანონის შესწავლა. ქვემოხოდაშნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გოძელიშვილი (საშუალო განათლებით) აცხადებს: „სად მცალია გაზეთის წასაკითხავად". ამავე სოფლის პარტორგანიზაციას მოსახლეობაში აგიტატორად გამოუყვია ქოხ-სამკითხველოს გამგე ესიტაშვილი. იგი სრულიად მოუმზადებელია, არ იცნობს ხუთწლიანი გეგმის კანონს. ცხადია, რა ღირებულებაც ექნება მის „სააგიტაციო" საუბრებს.

რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას სრულიად ბედის ანაბარად ჰყავს მიტოვებული ის მცირეოდენი პოლიტწრეებიც კი, რომლებიც რაიონში არსებობენ. არავინ არ ზრუნავს იმისათვის, რომ დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტებს, მოუწყონ მათ კონსულტაციები, მისცენ სახელმძღვანელო მითითებანი. რაიონში წრეებიც ცუდად არიან დაკომპლექტებული. სოფელ ქვემოხოდაშნის პოლიტწრეში გაერთიანებულია 21 მსმენელი. აქედან 1 ექიმია, 2 უმაღლესი პედაგოგიური განათლებით, 8 საშუალო განათლებით, ხოლო 10 კოლმეურნე. წრის მარტო თუნდაც ეს ჭრელი შემადგენლობა ცხადად მეტყველებს, რომ მას დიდი ნაყოფის მოცემა არ შეუძლია. თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან 1945 წლის ნოემბრიდან არსებობს პოლიტწრე. დღემდე წრეში შესწავლილია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის მხოლოდ პირველი თავი.

მოყვანილი ფაქტები ნათლად გვიჩვენებენ, რომ თელავის რაიონში კომუნისტების, და პირველ რიგში პარტიული აქტივის აღზრდის, იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლების საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ამაში უპირველეს ყოვლისა ბრალი მიუძღვის საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომს და მის პირველ მდივანს ამხ. გ. სეხნიაშვილს. დაივიწყა რა მის წინაშე მდგომი ამოცანები კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში, რაიკომმა პარტიული მუშაობის ეს მნიშვნელოვანი დარგი ბედის ანაბარად მიატოვა. ეს მაშინ, როცა თელავის რაიონს ყველა პირობა აქვს უკეთესად იმუშაოს ამ მიმართულებით, მნიშვნელოვნად დააყენოს კადრების იდეოლოგიური აღზრდის საქმე. საკუთარი სასწავლებლო ინსტიტუტი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მრავალი სკოლა, კულტურული დაწესებულებები და იქ მომუშავე კადრები,—აი ვის უნდა ეყრდნობოდნენ რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და პარტკაბინეტი თავის შემდგომ მუშაობაში.

ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა თელავის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თეორიული სწავლების საკითხი. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის სუსტი მუშაობა ამ მიმართულებით და დაუსახა ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

თელავის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გააჩაღონ მუშაობა ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი პარტიულ-აღმზრდელობით მუშაობაში და [illegible] მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე მის გამოზრდას.

ი. ალექსიძე

საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავების კარგი მაგალითი

„საქართველოს ისტორია". ნაწილი პირველი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ნ. ბერძენიშვილის, ი. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორიის" პირველი ნაწილის გამოსვლა უეჭველად დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ ცხოვრებაში.

შექმნილია ნაშრომი, რომელიც აჯამებს ცალკეულ მეცნიერულ გამოკვლევებს საქართველოს ისტორიაში და იძლევა ქართველი ხალხის განვითარების ისტორიული პროცესის მარქსისტულ კონცეფციას.

„საქართველოს ისტორია" განკუთვნილია სახელმძღვანელოდ საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის, მაგრამ არსებითად მისი მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა. ფაქტობრივი ცნობების სიუხვე, ტექსტში მეცნიერული არგუმენტაციის შეტანა მეტად ძვირფასს ხდის ამ წიგნს საბჭოთა ინტელიგენციის ფართო წრეებისათვის და განსაკუთრებით სსრ კავშირის ისტორიის სპეციალისტთათვის.

მონოგრაფიული გამოკვლევანი, რომლებსაც „საქართველოს ისტორიის" ავტორები ეყრდნობიან, მხოლოდ ნაწილობრივ არის ცნობილი მკითხველთათვის. ბუნებრივია, რომ ნაშრომში, რომელიც მხოლოდ ცოტა ხნის წინათ ჩატარებულ კვლევათა დასკვნებს გადმოგვცემს, ზოგიერთმა მსჯელობამ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა და დავა გამოიწვიოს. მაგრამ ეს გავლენას ვერ მოახდენს საქართველოს ისტორიის ამ პირველი მარქსისტულად განმაზოგადებელი შრომის საერთო დადებითს შეფასებაზე.

პირველი საკითხი, რომელიც იბადება ქართველი ხალხის ისტორიკოსის წინაშე, — ეს არის ქართველი ერის წარმოშობის საკითხი. „საქართველოს ისტორია" ამ საკითხს განიხილავს ერის შესახებ ამხანაგ სტალინის მოძღვრების მიხედვით და ამ მოძღვრების სრული შესაბამისობით გამოსთქვამს სწორ აზრს, რომ „ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესმა თავისი დამთავრება ჰპოვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ საქართველო შეაკავშირა... ერთიან სამეურნეო მთელად".

ძალიან კარგად და კონკრეტულად მოცემულია „საქართველოს ისტორიაში" ქართველ ტომთა „პირველყოფილ-თემური წყობის" დახასიათება. ავტორებმა გვერდი აუხვიეს განყენებულ სოციოლოგიურ მსჯელობებს და სქემატურ წარმოდგენებს გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობის შესახებ ცოცხალი სახეებით გამოხატეს.

წიგნის ძირითადი ნაწილი მიძღვნილია საქართველოს ისტორიის ფეოდალური პერიოდისადმი. ავტორებმა შესძლეს განსაკუთრებით მკაფიოდ და დამაჯერებლად ეჩვენებინათ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა ფეოდალური ეპოქის წინა აზიაში. საქართველოს შესანიშნავ პოლიტიკურ როლს ახლო აღმოსავლეთში „ისტორია" თანმიმდევრულად აშუქებს X საუკუნიდან მოკიდებული. მთელი რიგი ზუსტი ფაქტობრივი მონაცემებით ავტორები ამტკიცებენ იმ აზრს, რომ „XII საუკუნის და XIII საუკუნის დამდეგის საქართველო წარმოადგენდა დიდ სახელმწიფოს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ცხოვრებაში და საკუთარ დიდ პოლიტიკას ეწეოდა". (გვ. 231).

არანაკლებ ძლიერად გამოხატულია ქართველი ხალხის პატრიოტული ბრძოლაც. წიგნი აღსავსეა საქართველოს შვილთა გმირობის მკაფიო მაგალითებით, რომლებიც სიცოცხლეს არ იშურებდნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად.

წიგნში თანმიმდევრულად გაშუქებულია საქართველოს მეფეთა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის, მისი ფეოდალური დაქუცმაცების მოსპობისა და მეფის ძალაუფლების გასაძლიერებლად. საქართველოში, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც, ამბობს ამხანაგი სტალინი, „თურქთა, მონღოლთა და აღმოსავლეთის სხვა ხალხთაგან თავდაცვის ინტერესები მოითხოვდნენ ცენტრალიზებული სახელმწიფოების დაუყოვნებლივ შექმნას, რომლებსაც უნარი ექნებოდათ გამკლავებოდნენ შემომსევთა მოწოლას". ამიტომ „ისტორიის" ავტორები სავსებით მართალი არიან, რომ თავიანთი გადმოცემის პირველ პლანზე აყენებენ სწორედ ბრძოლას ცენტრალიზაციისათვის; ისინი მართალი არიან იმაშიც, რომ აღნიშნავენ ამ მხრივ საქართველოს მეფეთა მნიშვნელოვან წარმატებებს XI საუკუნის დამლევს და XII საუკუნეში,—დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების დროს. მაგრამ ცნება „ცენტრალიზებული მონარქიისა თვითმპყრობელი მეფის მეთაურობით", რასაც ისინი ხმარობენ, არ შეესაბამება აღნიშნულ ეპოქას. რარიგ მნიშვნელოვანიც უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგები მეფის ძალაუფლების განმტკიცებაში, მაინც არც მას და არც მის მემკვიდრეებს არ შეეძლოთ მაშინდელ სოციალურ-ეკონომიურ პირობებში ქვეყნის ფეოდალური დაქუცმაცების მოსპობა, არამედ მხოლოდ დროებით შესუსტება მძლავრი ვასალების წინააღმდეგობა.

საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას ავტორები, ცხადია, განიხილავენ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენებთან უმჭიდროეს კავშირში. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ყველა მოვლენა წიგნში ნაჩვენებია გაცილებით უფრო მკაფიოდ და ნათლად, ვიდრე ეკონომიკა და სოციალური ურთიერთობა. კერძოდ, „საქართველოს ისტორია" საკმაოდ ვერ წარმოგვიდგენს ფეოდალური საქართველოს ეკონომიური დაქუცმაცების სურათს, რომლითაც, როგორც ამხანაგმა სტალინმა დაგვანახვა, აიხსნება ის, რომ შეუძლებელი იყო „რეფორმამდელი დროის" ქართველთა გაერთიანება ერთ ერად.

ძალიან საინტერესოა თავები ქართული კულტურის შესახებ. მკითხველთა წინაშე გადაშლილია თავისებური და ბრწყინვალე ცივილიზაცია, რომელსაც ფესვები გადგმული აქვს უძველეს ხანაში. ავტორების საერთო თვალსაზრისი ქართული კულტურისა და მეზობელი ქვეყნების კულტურების ურთიერთობაზე სავსებით სწორად მიგვაჩნია. რამდენიმე სიტყვით ნათლად არის გამოთქმული აზრი, რომ ეროვნული კულტურა ეროვნულობას არ ჰკარგავს სხვა კულტურებთან ურთიერთობით, არამედ, პირიქით, მდიდრდება და ახალ ძალებს იღებს შემდგომი განვითარებისათვის.

„საქართველოს ისტორიის" ავტორებმა დააყენეს და სწორად გადასჭრეს მეტად არსებითი საკითხი რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობის შესახებ. „საქართველოს ისტორიის" ავტორებმა დაგვანახვეს, რომ უკვე XVI საუკუნეში იოანე IV დროს, როცა მოსკოვის სახელმწიფო კასპიის ზღვას მიუახლოვდა, თურქებისა და ირანელების წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში დაუძლურებულმა ქართველმა ხალხმა იმედის თვალით დაუწყო ცქერა რუს ხალხს, როგორც შესაძლო მოკავშირეს ამ ბრძოლაში.

ამასთან წიგნში სავსებით სწორადაა აღნიშნული, რომ სიშორის გამო, და საერთაშორისო ვითარების მიზეზებით ქართველებმა ვერ მიიღეს საკმაო დახმარება მოსკოვისაგან ვერც XVI და ვერც XVII საუკუნეში. ასევე ობიექტურად არის გადმოცემული საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა პეტრე დიდის დროს. რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური ინტერესების ერთიანობისადმი რწმენა [illegible] ხელმძღვანელობდა მეფე სოლომონ I, როცა 1768 წელს ჩაება რუსეთ-თურქეთის ომში. უფრო გვიან მეფე ერეკლემ იმავე მოსაზრებით შესთავაზა რუსეთის მთავრობას მიეღო საქართველო მფარველობის ქვეშ. „საქართველოს ბედს რუსეთთან რომ აკავშირებდა,—ნათქვამია წიგნში, — მეფე ერეკლეს იმედი ჰქონდა სამუდამოდ ეხსნა თავისი ქვეყანა ირან-თურქეთის ძალადობისაგან და უზრუნველეყო მისი აღორძინება" (გვ. 435). ამრიგად, სახელმძღვანელოს სიტყვით, XVII საუკუნის მანძილზე „თანდათან გამოირკვა ქართველი ხალხის შემდგომი განვითარების გზა. ეს იყო გზა ევროპული განვითარებისა რუსეთის მეშვეობით" (გვ. 435). ამიტომ „საქართველოს ისტორიას" რუსეთთან საქართველოს შეერთება, რაც საბოლოოდ გაფორმდა 1801 წელს, ობიექტურად შექმნილი პირობების გარდუვალ შედეგად მიაჩნია. „საქართველო მეფის რუსეთის კოლონია გახდა. რა თქმა უნდა, ეს ბოროტება იყო, რასაც ქართველი ხალხი მუდამ ებრძოდა, სანამ მან, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, თავისუფლება არ მოიპოვა. მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში ეს მაინც უმცირესი ბოროტება იყო..." (გვ. 450). ავტორები უსაფუძვლოდ როდი ამტკიცებენ, რომ რუსეთთან ქართველი ხალხის შეერთება იმ ვითარებაში სწორედ „უმცირესი ბოროტება" იყო. ამ ცნებას ისინი საქართველოს უფარდებენ არა როგორც მზამზარეულ გადაწყვეტილებას, რაც ყოველ ვითარებაში შეეფარდება მეფის აგრესიის ყოველ შემთხვევას. მთელი წინა გადმოცემით ისინი ასაბუთებენ თავიანთ აზრს.

„XVIII საუკუნის დამლევს ამიერკავკასიაში ერთ კვანძად გადაიხლართა საერთაშორისო პოლიტიკის ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები ახლო აღმოსავლეთში... სამი დიდი სახელმწიფო — ირანი, თურქეთი და რუსეთი—ერთმანეთს ეცილებოდა ბატონობას ამიერკავკასიაში. საქართველოს არ შეეძლო ჰქონოდა დამოუკიდებელი არსებობის იმედი... (გვ. 434-435). უფრო მეტიც, ქართველ ხალხს მოელოდა ფიზიკური მოსპობის საფრთხე ირანელებისა და თურქების განუწყვეტელ შემოსევათა შედეგად, რასაც თან ახლდა ქვეყნის საშინელი აოხრება, მოსახლეობის ტყვედ წაყვანა და გაჟლეტა. დაღუპვისაგან რომ თავი ეხსნა, ქართველ ხალხს უნდა ეპოვნა აქტიური მოკავშირე. „რელიგიითა და კულტურით საქართველოს მახლობელი რუსეთი ერთადერთი პროგრესული ძალა იყო, რომელსაც შეეძლო გაეერთიანებინა საქართველოს მთელი მიწა-წყალი და უზრუნველეყო საჭირო პირობები მისი საწარმოო ძალების განვითარებისათვის".

ამრიგად, ავტორებმა შესძლეს ეჩვენებინათ რუს ხალხთან ქართველი ხალხის გაერთიანების გარდუვალობა და პროგრესულობა.

„საქართველოს ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა დამთავრდა უცხო, მტრული გარემოცვის გარღვევით, და საქართველო რუსეთის დახმარებით, კვლავ, და საბოლოოდ, დაადგა ევროპული განვითარების გზას". ამ სიტყვებით მთავრდება „საქართველოს ისტორია".

„საქართველოს ისტორია" არა მარტო აფართოებს ჩვენს ცოდნას ქართველი ხალხის წარსულზე. იგი გვაძლევს მისი განვითარების დასრულებულ კონცეფციას გვაროვნულ-ტომობრივი წყობის უძველესი დროიდან ფეოდალური წყობის დაშლის დასაწყისამდე. შესაძლოა ზოგიერთი საკითხი სადისკუსიო იყოს, ზოგიერთი დეტალი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვდეს, მაგრამ ძირითადად [illegible] ლიტერატურაში.

ს. ბახრუშინი
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
(„კულტურა და ჟიზნ", № 1)

ბავშვთა თვითშემოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) მოსწავლე ლ. ბასილაია კითხულობს ლექსს; თ. ქირია და ნ. ესებუა ასრულებენ ლეკურს (აფხაზეთი); ჭუნირზე დამკვრელები ო. ტყილდიანი და ჟ. მეწველიანი (ქვემო სვანეთი), გ. ვალიშვილი და თ. ფიცხელაური ასრულებენ „მოხეურს" (ყაზბეგის რაიონი); მოცეკვავენი ა. დადვანი და ქ. ფილფანი (ზემო სვანეთი); [illegible] შახაშვილი და ც. და მ. საყვარელიძეები ასრულებენ ხალხურ სიმღერებს.

ფოტო რ. [illegible]

თეატრალური სეზონის შედეგების შესახებ

ქართული თეატრი, რომელსაც დიდი და მდიდარი ტრადიცია აქვს, წლითიწლობით იზრდება და სრულჰყოფს თავის ოსტატობას. დიდი სამამულო ომის შემდეგ ჩატარებული პირველი სეზონი ხასიათდებოდა ჩვენი თეატრების კოლექტივების სერიოზული შემოქმედებითი წინსვლით.

სამამულო ომმა, მართალია მნიშვნელოვანწილად დაარღვია თეატრების ნორმალური მუშაობა, მაგრამ ამასთან ბევრი ახალი და საინტერესო რამ შეიტანა მათს შემოქმედებითს მუშაობაში. პატრიოტიზმის თემატიკა უფრო ღრმად და მხატვრული სრულყოფით აისახა ჩვენი თეატრების სცენაზე. ახლებურად, დიდი მხატვრული გემოვნებით სახიერდებიან ქართულ თეატრში ისტორიული ამბები. ამის მჭევრმეტყველური მაგალითია სოლოვიოვის ისტორიული პიესის „დიდი ხელმწიფის" დადგმა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში. ეს სპექტაკლი თანამედროვე ქართული ხელოვნების თვალსაჩინო მოვლენაა. სპექტაკლში გამოხატულება ჰპოვეს უანგარო პატრიოტიზმისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების იდეებმა, ნაციონალური სიამაყის კეთილშობილმა გრძნობამ, გმირობისა და მამაცობის სულისკვეთებამ. რუსეთის ისტორიის მასალაზე შექმნილი ეს სპექტაკლი, თავისი სტილით, რიტმითა და სცენიური ასახვის საშუალებათა კომპლექსით უნდა ჩაითვალოს ქართული თეატრის უაღრესად ნაციონალურ ნაწარმოებად. სპექტაკლი წარმოადგენს რუსთაველის სახელობის თეატრის მდიდარი ტრადიციის ერთგვარ განზოგადებას. მის განსაკუთრებულ წარმატებაში ღვაწლი მიუძღვით სტალინური პრემიის ლაურეატებს: სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. ხორავას, რომელიც უდიდესი ოსტატობითა და შემოქმედებითი პათოსით იძლევა მეფე იოანეს სახეს, დამდგმელს სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. ვასაძეს, რომელიც შესანიშნავად ასრულებს ერთერთ ძირითად როლს ვასილ შუისკისას და რესპუბლიკის სახალხო არტისტ გ. დავითაშვილს, რომელიც ბრწყინვალედ განასახიერებს ბორის გოდუნოვს. მხატვრული გემოვნებითაა შესრულებული თეატრის სხვა დადგმებიც, როგორც, მაგალითად, „ინსპექტორი მოვიდა" და „ორი ბატონის მსახური".

გასული თეატრალური სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო დადგმა კომპოზიტორ შ. მშველიძის ოპერისა—„ამბავი ტარიელისა" ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის თეატრში. დადგმა განახორციელა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. წუწუნავამ, მხატვრობა ს. ქობულაძეს ეკუთვნის. სპექტაკლი მიძღვნილი იყო საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი. კომპოზიტორმა შ. მშველიძემ ამ ნაწარმოებით გაამდიდრა ქართული მუსიკალური კულტურა. საქართველოს ახალგაზრდა კომპოზიტორების მიერ შექმნილ ოპერათა შორის „ამბავი ტარიელისა" ყველაზე თვალსაჩინო ქმნილებაა, ხოლო მისი დადგმა ყველაზე შესანიშნავია უკანასკნელი წლების დადგმათა შორის. დიდი ინტერესი გამოიწვია და მაყურებლის მაღალი შეფასება მიიღო ოპერა „ბორის გოდუნოვის" დადგმის განხორციელებამაც. საერთოდ თეატრის კოლექტივი გასულ სეზონში მეტად ნაყოფიერად მუშაობდა. ეს მისი ხელმძღვანელობის შემოქმედებითს და ინიციატივიან საქმიანობასაც მიეწერება.

გასულ სეზონში მრავალფეროვანი იყო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რეპერტუარიც. თეატრის დიდმა შემოქმედებითმა უნარმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ისეთ მნიშვნელოვან დადგმებში, როგორიცაა „დავით აღმაშენებელი" და „უძლეველნი". პირველ მათგანში, რომლის დადგმა რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილს ეკუთვნის, რეალისტურად და მხატვრული ერუდიციით ასრულებენ როლებს მსახიობები ს. ზაქარიაძე, ვ. ანჯაფარიძე, შ. ღამბაშიძე და გ. შავგულიძე. „უძლეველნის" დადგმით თეატრმა ქართულ სცენაზე პირველად გამოიტანა ზღვის თემატიკა. სპექტაკლი ასახავს შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნავის მეზღვაურთა გმირულ ბრძოლას. პიესა მისმა შემსრულებელმა დასმა მთლიანად სწორად გაიგო.

წელს ჩატარდა რესპუბლიკური თეატრების სცენაზე რუს კლასიკოსთა პიესების დადგმების დათვალიერება. დათვალიერებამ ცხადჰყო, რომ ქართული თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავთ რუს კლასიკოსთა დრამატურგიულ ნაწარმოებებს. რუსი და ქართველი ხალხის კულტურულ თანამეგობრობას, რომელსაც სახელოვანი ტრადიცია აქვს, ღირსეულად გამოსახავს თბილისის გრიბოედოვის სახელობის დრამატიული თეატრი. როგორც ყოველთვის, ისე გასულ სეზონშიც თეატრი აცნობდა მაყურებელს მოწინავე რუსულ თეატრალურ კულტურას.

მუსიკალური კომედიის ნიჭიერმა კოლექტივმა რამდენიმე მხატვრული გემოვნებით შესრულებული დადგმა მოგვცა.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი ერთ-ერთი საუკეთესოა საბჭოთა კავშირში. განვლილ სეზონში მან მოგვცა ბევრი მშვენიერი დადგმა. ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი პიესების ხვედრითი წონაც შარშანდელზე მეტი იყო. მაგრამ ზოგიერთი მსახიობი თვითდამშვიდებას მიეცა და ნაკლებად ზრუნავს თავისი შემდგომი ოსტატობისათვის. ეს მიდრეკილება თეატრს დაქვეითების საფრთხეს უქმნის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ახლახან განიხილა მოზარდ მაყურებელთა თეატრის მუშაობის საკითხი და დასახა ღონისძიებანი, რომელნიც თეატრის კოლექტივის შემდგომი მუშაობის აღმავლობის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენენ.

თბილისის სომხური დრამისა და ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანულმა თეატრებმა დამაკმაყოფილებლად დაამთავრეს სეზონი.

მაღალმხატვრულ დონეზე ჩაატარეს გასული სეზონი აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის თეატრებმა და ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა ეს უკანასკნელი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის ხელოვნების ძირითადი კერაა. ამ თეატრების შემოქმედებითი წარმატება იმით აიხსნება, რომ მათ ყოველდღიურ დახმარებას უწევენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, რის შედეგადაც მათ შექმნეს კარგი დასი, აქვთ სათანადო ტექნიკური ბაზა და მეტად საპასუხისმგებლო დადგმების განხორციელების უნარი.

საქალაქო და რაიონული თეატრების ახლახან ჩატარებულმა დათვალიერებამ ცხადჰყო, რომ მთელ რიგ ადგილებში, მრავალი სახის სიძნელეთა მიუხედავად, იზრდებიან და ვაჟკაცდებიან ახალგაზრდა დასები, სცენის უნარიანი, ნიჭიერი მუშაკები. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ფოთის, გორის, მახარაძის, ჭიათურის, თელავის, მესხეთის (ახალციხის) დასები, რომლებიც გასულ სეზონში ინიციატივიანად, შემოქმედებითად მუშაობდნენ და არაერთი კარგი სპექტაკლი მოგვცეს. აღსანიშნავია, რომ მესხეთის თეატრის ახალგაზრდა დასმა მოკლე ხანში დაიმსახურა სიყვარული და პატივისცემა ახალციხის, ასპინძის, ადიგენის და ახალქალაქის მშრომელებში, სადაც ის სისტემატურად მართავდა სპექტაკლებს.

1945-46 წლების თეატრალური სეზონი ხასიათდება როგორც დედაქალაქის, ისე დანარჩენი თეატრების შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით. ომისშემდგომ ამ პირველ სეზონში ბევრმა თეატრმა გადალახა აქამდე არსებული სიძნელენი. ისინი ორგანიზაციულად განმტკიცდნენ და დაადგნენ შემდგომი შემოქმედებითი აღმავლობის გზას.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად თეატრების მუშაობაში ბევრი ნაკლიც მოგვეპოვება.

სამხატვრო, პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, მსახიობთა კვალიფიკაციის სრულყოფისათვის ზრუნვასთან ერთად, ის არის, რომ მათ ფართოდ გაშალონ მუშაობა თეატრის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ამ მხრივ ბევრგან და განსაკუთრებით სარაიონო თეატრებში ბევრი არა კეთდება რა. ხელოვნების მუშაკთა შორის კი ჯერ კიდევ აქვს ადგილი არაჯანსაღ განწყობილებებს, როგორიცაა საკუთარი მიღწევების გადაჭარბებით შეფასება, უპრინციპობა, პროფესიული შურიანობა. მათი დაძლევის უმნიშვნელოვანესი იარაღია იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს შექმნას მუდმივმოქმედი ლექტორიუმი ადგილებზე მოხსენებების, ლექციების და კონსულტაციების ჩასატარებლად. ჩვენ მოვაწყობთ მოკლევადიან კურს-სემინარებს რეჟისორთა და თეატრის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ ღონისძიებათა განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს თეატრალური საზოგადოება. ყოველივე ეს საკმარისი როდია. თეატრის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებისათვის საჭიროა ადგილზევე გაიშალოს სისტემატური, ყოველდღიური მუშაობა.

მოუგვარებელია მსახიობთა კადრების სწორი განაწილების საქმე. მაშინ როდესაც ცენტრალურ თეატრებს შტატის გადამეტებით ჰყავთ მსახიობები, რომელთა საგრძნობი ნაწილი დატვირთული არ არის, რაიონული თეატრები კადრების მნიშვნელოვან ნაკლებობას განიცდიან და ზოგჯერ სცენის მოყვარეებით ავსებენ დასებს. ჩვენ უნდა მივაღწიოთ მსახიობთა კადრების სწორ განაწილებას და, რაც მთავარია, ახალი კადრების გამოვლინებას, მოზიდვას და მათ აღზრდას.

თეატრებში საჭიროა შეიქმნას სტიმული მსახიობთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს დუბლიორულ სისტემას. მაგრამ თეატრის ბევრ ხელმძღვანელს ჯერაც არ ესმის მისი დამკვიდრების მნიშვნელობა. იგი, ჯერ-ერთი, უზრუნველჰყოფს თეატრს სპექტაკლის მოხსნის საფრთხისაგან, მეორეც, ჰქმნის მსახიობთა შორის შემოქმედებითი შეჯიბრების შესაძლებლობას და, ხელს შეუწყობს ახალგაზრდა კადრების აღზრდას.

თეატრის ხელმძღვანელები ეფექტიურად ვერ იყენებენ იმ მატერიალურ საშუალებებს, რომლებიც მათ მოეპოვებათ, ამასთან სათანადო მომჭირნეობას არ იჩენენ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში. სახელმწიფო დახმარება თეატრებისადმი საგრძნობლად დიდია და წლითიწლობით იზრდება. თუ 1943 წელს თეატრებს დოტაციის სახით მიეცათ 7.030.000 მანეთი, მიმდინარე წელს ეს თანხა 20.230.000 მანეთით განისაზღვრება. საბჭოთა მთავრობის ასეთ ზრუნვას ქართული თეატრის მუშაკებმა უნდა უპასუხონ შემოქმედებითი მუშაობის გაძლიერებასთან ერთად სახელმწიფო თანხების მომჭირნედ ხარჯვით.

გასული თეატრალური სეზონის მთავარი ნაკლი იყო რეპერტუარში თანამედროვე თემატიკაზე დაწერილი პიესების დაბალი ხვედრითი წონა. თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელთა და დრამატურგთა შორის ჯერ კიდევ ძლიერია ისტორიულ ნაწარმოებთა გამსახიერების ტენდენცია. ქართულ დრამატურგიაში ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება ისეთი პიესები, რომელნიც ღირსეულად ასახავდნენ სტალინური ეპოქის დიდ მოვლენებს. ჩვენი ამოცანაა სცენაზე ვუჩვენოთ მაყურებელს ახალი ადამიანი, დღევანდელი გმირი, რომელიც მიბაძვის სურვილს გამოიწვევს მაყურებლებში. თეატრი მხარდამხარ უნდა მიჰყვებოდეს ჩვენს ეპოქას.

ჩვენს წინაშე მდგომი დიდი ამოცანების დასაძლევად საჭიროა დრამატურგების უფრო მჭიდროდ დაკავშირება თეატრებთან. ჩვენს თეატრებს აქვთ საჭირო სახსრები, აქვთ შესაძლებლობა უშუალოდ დაუკავშირდნენ დრამატურგებს და საერთო ძალით შექმნან მაღალმხატვრული ღირსების სპექტაკლები თანამედროვე თემებზე. გადაწყვეტილი გვაქვს მივცეთ დრამატურგებს პრემიის სახით 10-დან 20 ათასამდე მანეთი თანამედროვე თემებზე დაწერილი იმ პიესებისათვის, რომლებიც თეატრში დადგმის შემდეგ მოწონებული იქნებიან.

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და შრომის ნათელი პროგრამაა, წარმოადგენს დიდი შემოქმედებითი შთაგონების უშრეტ წყაროს. ქართულმა თეატრმა უნდა შექმნას უფრო მეტი პატრიოტული სპექტაკლები, რომლებიც ასახავენ ჩვენს თვალწარმტაც დღევანდელ დღეს, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვების დიდებულ სურათს, ჩვენი დროის გმირის თავდადებულ ბრძოლას კაცობრიობის დიადი მომავლისათვის. ქართულ თეატრს ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ განახორციელოს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მითითებანი, შექმნას დიდი შემოქმედებითი ტილოები, რომლებიც ღირსეულად ასახავენ სტალინური ეპოქის დიად საქმეებს.

რ. შადური

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი



მოსკოვი. ახალი სახლები ლენინგრადის გზატკეცილზე.
ფოტო დ. ჩერნოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა)

საბჭოთა კავშირში

ტექნიკურ კულტურათა სექცია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიაში

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა ტექნიკურ კულტურათა სექცია. მის თავმჯდომარედ დაინიშნა აკადემიის ნამდვილი წევრი ი. ვ. იაკუშკინი. სექციის ამოცანაა სამეცნიერო დახმარება აღმოუჩინოს სსრ კავშირის ტექნიკურ კულტურათა სამინისტროს და უზრუნველჰყოს იმ ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურებისადმი მეცნიერულ-მეთოდური ხელმძღვანელობა, რომლებიც ტექნიკურ კულტურებზე მუშაობენ. (საკდესი).

პ. ანგელინას ბრიგადა მოსავლის აღებაზე

სტარო-ბეშევო (სტალინოს ოლქი), 23 ივლისი. (საკდესი). ხორბლის თვალუწვდენ მასივებს შორის გადაშლილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სტალინური პრემიის ლაურეატის პრასკოვია ნიკიტას-ასულ ანგელინას სატრაქტორო ბრიგადის საველე ბანაკი. აქ ცხოვრება დღედაღამ სჩქეფს. ბრიგადა კოლმეურნეობა „ზაპოროჟეცში" იღებს 400 ჰექტარ პურეულს. მოსავალი შესანიშნავია. კომბაინერი ჩელპანოვი ყოველ ჰექტარზე 29 ცენტნერ შემოდგომის ხორბალსა და 22,5 ცენტნერ გაზაფხულის ხორბალს ლეწავს.

მკის დასაწყისში წვიმები იყო. ეს ჰქმნიდა კომბაინების ნაყოფიერების შემცირების, მოსავლის აღების გაჭიანურების საფრთხეს. მაგრამ მრავალი წლის გამოცდილება დაეხმარა პ. ნ. ანგელინას გამოსავლის პოვნაში. მისი წინადადებით კომბაინ „სტალინეცზე" კომბაინ „კომუნარის" ხედერი დასდგეს. ამან შეამცირა მოდების ფართობი, მაგრამ დააჩქარა მანქანის სვლა, გაადიდა სალეწი აპარატის გამტარუნარიანობა. ბრიგადამ თავიდან აიცილა გაცდენა.

კომბაინერი, მეშტურვალე და ტრაქტორისტები გვიან ღამემდე მუშაობენ. ბუნკერის განტვირთვა სვლაში ხდება. მანქანების გასინჯვა და საწვავის ჩასხმა ღამით ხანმოკლე შესვენების დროს სწარმოებს.

შეკეთებულია 10 ათასი სკოლა

რსფსრ ქალაქებსა და რაიონებში მიმდინარეობს სკოლების მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის: სწარმოებს სასკოლო შენობების რემონტი, სათბობის დამზადება და მიზიდვა და სხვ.

ორგანიზებულად ჩატარდა მზადება ვორონეჟში. სასკოლო შენობების რემონტი აქ ძირითადად უკვე დამთავრებულია. ადგილობრივმა მრეწველობამ სკოლებისათვის დაამზადა მაგიდები და მერხები. სკოლები დაკომპლექტებულია პედაგოგთა კადრებით. სახალხო განათლების ორგანოებმა დიდი დახმარება მიიღეს შეფი დაწესებულებებისა და საწარმოებისაგან — ძერჟინსკის სახელობის ქარხნისა, სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტისა და სხვებისაგან. ქალაქის საწარმოებმა მოსწავლეთათვის დაამზადეს 6.000 წყვილი ფეხსაცმელი და 4.000 ცალი ტანსაცმელი.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრიობა. ბევრ ადგილას იმართება კვირაობა. რსფსრ 19 ოლქსა და სამ ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარებულ კვირაობებში მონაწილეობა მიიღო 1.236 ათასმა კაცმა. მასალებს ეზიდებოდა, სათბობს ამზადებდა და ეზიდებოდა ხუთი ათასი ავტომანქანა და 172 ათასი ცხენი. ამ ოლქებსა და რესპუბლიკებში მშრომელების, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით შეკეთებულია 10.636 სასკოლო შენობა, დამზადებულია 1 მილიონამდე კუბმეტრი შეშა. შეკეთებულია აგრეთვე დიდძალი ბინები მასწავლებელთათვის. (საკდესი).

კუზნეცკის კომბინატში დაიწყო კოქსის ახალი ბატარეის მშენებლობა

სტალინსკი, 23 ივლისი. (საკდესი). კუზნეცკის მეტალურგიულ კომბინატში დაიწყო კოქსის ახალი ბატარეის აგება. ეს ერთ-ერთია იმ 63 ბატარეიდან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში უნდა აშენდეს ხუთწლიანი გეგმის მიხედვით.

კომბინატში ეს მეექვსე ბატარეა იქნება. მისი ამოქმედება შესაძლებელს გახდის კოქსის წარმოების 20 პროცენტით გადიდებას.

ახალციხის დიატომიტი

ახალციხის დიატომიტი თავისი მაღალხარისხოვანი თვისებებით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. მისი მომხმარებელია საკავშირო მნიშვნელობის ათეულობით დიდი სამრეწველო საწარმო. ბოლო ხანებში ახალციხის დიატომიტის გამოყენება ფართოდ დაიწყეს ჩვენი ქვეყნის ქიმიურ, რეზინისა და კვების მრეწველობაში. ამჟამად მიმდინარეობს საცდელი მუშაობა დიატომიტის გამოსაყენებლად მრეწველობაში სინთეზური თხევადი სითბოს მიღებისათვის.

დიატომიტის ექსპლოატაცია ახალციხის რაიონში დიდი ხანია სწარმოებს. 1928 წლამდე მისი მოპოვება და გადამუშავება პრიმიტიული საშუალებებით ხდებოდა, ხოლო მთის ვიწრო ბილიკებზე მას ურმებით ეზიდებოდნენ. 1932-33 წლებში ახალციხიდან გაყვანილ იქნა გზატკეცილი. ორი კილომეტრის მანძილზე მოეწყო საბაგირო გზა. ამ პერიოდიდან დიატომიტის წარმოებამ სამრეწველო ხასიათი მიიღო.

დიდი სამამულო ომის წლებში ეს პატარა, მაგრამ დიდი მნიშვნელობის საწარმო პირნათლად ასრულებდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დავალებას მრეწველობის მთელი რიგი დარგების დიატომიტით უზრუნველყოფის დარგში.

1945 წელს დიატომიტის საწარმომ პროდუქციის მოპოვებისა და გადამუშავების წლიური გეგმა 10,7 პროცენტის გადაჭარბებით და თვითღირებულების საგრძნობი შემცირებით შეასრულა, ხოლო მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს უფრო მაღალ წარმატებას აღწევს. საწარმოს მუშათა კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა 15 ივნისისათვის 144 პროცენტით გაანაღდა.

ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება დიატომიტზე. ეს დღის წესრიგში აყენებს დიატომიტის საწარმოს ყოველმხრივ გაფართოების, პროდუქციის მოპოვების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების საკითხს.

ამჟამად მიმდინარეობს დამატებითი გეოლოგიური საძიებო კვლევა ქისათიბის დიატომიტის საბადოს მარაგის დასაზუსტებლად. ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელს. ტარდება მოსამზადებელი სამუშაოები საბადოს მიწისქვეშა (საშახტო) დამუშავებაზე გადასასვლელად. განზრახულია მეოთხე ხუთწლედში აქ აიგოს საშრობი, საფქვავი და თერმოიზოლაციური ხელსაწყოების ქარხნები.

ჩვენი ქვეყნის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში ახალციხის დიატომიტიც თავის წვლილს შეიტანს.

ნ. ფარჯანაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გ ა გ რ ა

კურორტი და რაიონული ცენტრი, ქალაქი გაგრა მთელს საბჭოთა კავშირში ცნობილია ზღვის იშვიათი ჰავით. მას ჩრდილოეთით აკრავს სამი ათასი მეტრი სიმაღლის მთები, ხელუხლებელი მდიდარი ტყეებით დაფარული. მთის კალთებზე გაშენებული ქალაქი ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან მთლიანად დაცულია. ქალაქი სუბტროპიკულ ბაღნარადაა გადაქცეული. აქაური წარმტაცი ბუნება, მოლივლივე ლურჯი ზღვა და ჯანსაღი ჰაერი ერთნაირად იზიდავს ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხის მცხოვრებს. აქ ისვენებენ საბჭოთა კავშირის გმირები, სამამულო ომის ინვალიდები, მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი.

გაგრაში უკვე მუშაობს 9 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, სადაც 1.400-ზე მეტი კაცი ისვენებს და მკურნალობს. მუშაობს აგრეთვე ომამდე ცნობილი სასტუმრო კომბინატი „გაგრიფში-რიცა".

• • •

კურორტი გაგრა დღითიდღე მშვენიერდება. მრავალი შენობა კაპიტალურად შეაკეთეს, წესრიგზე მოიყვანეს ბაღი, ზღვის სანაპირო პარკი. მაისსა და ივნისში კურორტის ტერიტორიაზე დაირგო 25 ათასი ძირი ევკალიპტი, 300 ძირი დეკორატიული მცენარე, ათიათასობით ყვავილი და ვარდი. ამას გარდა ქუჩების გასწვრივ ხეივნებად გააშენეს 25 ათასი ძირი ევკალიპტი და 500 ძირი დეკორატიული მცენარე. გადაბარული და გაწმენდილია 30 ათასი კვადრატული მეტრი გაზონები. წესრიგზეა მოყვანილი ქალაქის მდიდარი სანერგე მეურნეობა, სადაც გაშენებულია ფოთლოვანი მცენარეების, ევკალიპტისა და ყვავილების 515.000 ნერგი.

• • •

თეთრი ქვის დიდი კიბე სამსართულიან თეთრ სახლს ებჯინება, რომელიც პალმებისა და ვარდების წალკოტშია ჩადგმული. აქედან ხელისგულივით მოსჩანს მზის სხივებით მოციმციმე კრიალა ზღვა და მთელი კურორტი გაგრა.

ეს არის დასასვენებელი სახლი „საქართველოს ჩაი". ოთხი წლის შემდეგ დამსვენებლები აქ პირველად გასული წლის მაისში მოვიდნენ. შენობა კაპიტალურად არის შეკეთებული.

გაგრის ცენტრში მშვენიერი სანახავია იშვიათი არქიტექტურული ხელოვნებით ნაგები სტალინის სახელობის სანატორიუმის შენობა. აქაური მიმზიდველი ბუნება, სისუფთავე, წესრიგი, კარგად დაყენებული სამედიცინო და კულტურული მომსახურება, ბიბლიოთეკა, უზრუნველჰყოფენ მოაგარაკეთა კულტურულ დასვენებას და მკურნალობას. აქ ისვენებენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, თბილისიდან, კიევიდან და შორეული ჩრდილოეთიდან ჩამოსული ადამიანები. მაგალითად წელს აქ დაისვენეს: მოსკოვის ბაუმანის სახელობის ინსტიტუტის მუშაკმა, საბჭოთა კავშირის გმირმა იოსებ მათეს-ძე პეტლიუკმა, სარატოვის ერთ-ერთი ქარხნის უფროსმა ოსტატმა ი. ივანოვმა, დონბასელმა მეშახტემ მ. სეროვმა, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მხატვარმა ქალმა ა. გოდერძიშვილმა, ამხ. ვ. კობერიძემ სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობა „შრომიდან" და სხვებმა.

დასასვენებელი სახლის „უკრაინის" ადმინისტრაციამ მიმდინარე წელს 30 ჰექტარზე მოაწყო დამხმარე მეურნეობა, შექმნა სარძეო-სასაქონლო ფერმა. ამჟამად დამსვენებელთა სუფრას ყოველდღიურად ამშვენებს ახალ-ახალი ბოსტნეული, რძე, ყველი და სხვა პროდუქტები.

დასასვენებელი სახლის შენობას წელს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, რისთვისაც დაიხარჯა 300 ათასი მანეთი.

• • •

უნდა აღვნიშნოთ, რომ გაგრაში დამსვენებელთა კულტურული მომსახურების დარგში კიდევ მეტია გასაკეთებელი. ჩვენი ქვეყნის პატრიოტებს აინტერესებთ საერთაშორისო ამბები, აინტერესებთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის საკითხები. ამიტომ აუცილებელია მათ ყოველდღიურად მივაწოდოთ ჟურნალ-გაზეთები, ვუჩვენოთ კინოსურათები, მოვუწყოთ ლექციები და მოხსენებანი. ამ მიმართულებით საქართველოს კ. პ. (ბ) გაგრის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ სათანადო ნაბიჯი უნდა გადადგას.

ს. შონია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ლ ე ბ ა რ დ ე

ლებარდე მდებარეობს 54 კილომეტრზე გეგეჭკორის რაიონის ცენტრიდან. იგი გარშემორტყმულია ალპური მთებით, რომელთა სიმაღლე 1.600 მეტრს უდრის. ეს მთები აგარაკს იცავენ ძლიერი ქარისაგან. ჯანსაღი მთის ჰაერი, ირგვლივ წიწვიანი მცენარეები, ძვირფასი სამკურნალო თვისებების მჟავე წყალი ლებარდეს ხდიან პირველხარისხოვან კურორტად.

ლებარდეს ჰაერი გაჟღენთილია ოზონით, მზის სხივები დიდი რაოდენობით შეიცავენ ულტრაიისფერ სხივებს. აქაური მჟავე რკინიანი წყალი —ქიმიკოს კუპცისის გამოკვლევით — „უფრო გემრიელი და სასიამოვნო დასალევად, ვიდრე ბორჯომისა და ესენტუკ-ნარზანის წყალი". შემდეგ კუპცისი დაასკვნის: „გამოკვლევის თანახმად, ლებარდეს წყალი უნდა მივაკუთვნოთ წმინდა რკინის წყალთა ჯგუფს... კურორტ ლებარდეს აქვს დიდი მომავალი; ამიტომ მას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. გზის გაყვანის შემდეგ ლებარდე შეიქნება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტი".

ლებარდეს [illegible] გზები აკავშირებდა დასახლებულ ადგილებთან. მგზავრობა ძნელი და სახიფათო იყო. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მატულობდა აქ მოაგარაკეთა რიცხვი.

ამჟამად გეგეჭკორიდან სოფელ ტალერამდე გაყვანილია 23 კილომეტრი საავტომობილო გზა, ხოლო ტალერიდან ლებარდემდე — ფართო საცხენოსნო გზა.

წინათ მოაგარაკეებს ფიჭვებისა და ნაძვების ქვეშ სახელდახელოდ გაკეთებულ კარვებში უხდებოდათ ცხოვრება. ახლა აგებულია მრავალი სახლი. ისინი 5.000-მდე მოაგარაკეს იტევენ.

სხვადასხვა სპეციალობის ექიმების გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ აგარაკი ლებარდე ჰკურნავს ფილტვების კომპენსიურ ტუბერკულოზს, ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზს, ძვლებისა და სახსრების ტუბერკულოზს, ნევრასტენიას, ყველა ფორმის მალარიას და საერთოდ სისხლნაკლოვანებას.

კურორტ ლებარდეში მოდიან მოაგარაკენი დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან.

ლებარდეში სეზონი იწყება 15 ივლისიდან და გრძელდება სამ თვეს.

საჭიროა კურორტის კეთილმოწყობას მეტი ყურადღება მიექცეს. საცხენოსნო ფართო ბილიკები, რომლებიც ომამდე გაიყვანეს, ზოგან ჩამონგრეულია. ხიდებსა და ბოგირებს შეკეთება სჭირდება. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ეს უნდა გაითვალისწინოს.

ე. ხარებავა

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

რუსეთის კრეისერ „ნოვიკის" ქვემეხი

იუჟნო-სახალინსკი, 20 ივლისი. (საკდესი). საალყო ქვემეხი, მილი, ყუმბარა და საზღვაო ტორპედის ბოლო ნაწილი იპყრობენ იუჟნო-სახალინსკის მუზეუმის მნახველთა ყურადღებას. ეს რუსეთის კრეისერ „ნოვიკის" ნაშთებია. ამ კრეისერის ისტორია რუსეთის ფლოტის გმირული წარსულის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია.

1904 წლის აგვისტოში რუსეთზე იაპონელების თავდასხმის დღეებში, კრეისერი „ნოვიკი" პორტ-არტურიდან ცინდაოს გავიდა, იქიდან კი ვლადივოსტოკს გაემართა. ლაპერუზის სრუტესთან „ნოვიკს" გზა გადაუღობა იაპონიის ორმა კრეისერმა. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. ბრძოლის შედეგად „ნოვიკს" დაემსხვრა მილი და მწყობრიდან გამოუვიდა ქვაბი.

ნისლისა და სიბნელის საფარქვეშ დაზიანებული კრეისერი ნაპირისაკენ გაემართა, მაგრამ ნაპირიდან ორ კილომეტრზე წყალქვეშა ქვებს წააწყდა. 21 აგვისტოს განთიადისას იაპონიის ხომალდებმა კვლავ დაუშინეს „ნოვიკს". ერთმა მუჭა მამაცებმა მოსპეს ყველაფერი, რაც ღირებულებას წარმოადგენდა, და მტრის არტილერიის გრიგალისებრ ცეცხლში შესძლეს ნავებით ნაპირამდე მიღწევა.

ნორმების მასობრივად გადაჭარბება

სარატოვი, 23 ივლისი. (საკდესი). სარატოვის სატრაქტორო მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივი შეჯიბრებაშია ჩაბმული სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ასობით მუშები პროფესიათა შეთავსებით სამუშაო დღის შემჭიდროებისა და რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გამოყენების გზით ყოველდღე ასრულებენ ცვლაში 4-5 ნორმას. ქარხნის ასზე მეტმა მუშამ უკვე შეასრულა წლიური დავალება. ზენკალმა შემნევმა ნახევარ წელიწადში ორ წლიურ ნორმაზე მეტი შეასრულა. ორ-ორი წლიური ნორმა მოგვცეს ზენკლებმა ნიკიფოროვმა და სტეპანოვმა.

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

18 ივლისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 18 ივლისი. (საკდესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე ადვოკატი სერვატიუსი განაგრძობდა სიტყვას ბრალდებულ ზაუკელის დასაცავად.

სერვატიუსი ცინიკურად ამართლებს ჰიტლერელთა ღონისძიებებს მუშების ძალით გარეკვის დარგში. ამისათვის იყენებს სწორედ იმ „არგუმენტაციას", რომელსაც მიმართავდა ჰიტლერული პროპაგანდა.

საღამოს სხდომის დასასრულს თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ბრალდებულ იოდლის დამცველს ადვოკატ ექსნერს. მისი სიტყვის განგრძობა გადატანილია 19 ივლისის დილის სხდომაზე.

19 ივლისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 19 ივლისი. (საკდესი). ტრიბუნალის 19 ივლისის დილის სხდომაზე იოდლის დამცველმა ადვოკატმა ექსნერმა განაგრძო წინა სხდომაზე დაწყებული სიტყვა. ადვოკატმა აღიარა, რომ იოდლი „იყო ფიურერის მრჩეველი ყველა ოპერატიულ საკითხებში, მაშასადამე, გარკვეული აზრით, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი". მაგრამ შემდეგ ექსნერი ცდილობს შეამციროს იოდლის როლი, უსაფუძვლოდ ამტკიცებს, ვითომ „მისი საქმიანობა წმინდა ტექნიკური იყო", ვითომ იოდლი იყო მხოლოდ „შიკრიკი, რომელიც გადასცემდა ხოლმე ბრძანებებს", კერძოდ, პარტიზანებთან ბრძოლის, სოფლებისა და ქალაქების დანგრევისა და დაწვის შესახებ და სხვ.

დამცველი ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს, ვითომ იოდლი შორს იდგა ჰიტლერული პარტიისა და საზოგადოდ პოლიტიკისაგან.

პარტიზანების წინააღმდეგ იოდლის საქმიანობის საკითხის განხილვისას ექსნერი მათ უწოდებს „პარტიზანულ ბანდებს". ჰიტლერული პროპაგანდის არსენალიდან ამოღებული ეს გამოთქმა ექსნერისა პროტესტს იწვევს სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რუდენკოს მხრივ.

ტრიბუნალი ეთანხმება საბჭოთა ბრალმდებლის პროტესტს და შემდეგ დამცველი იძულებულია იხმაროს გამოთქმა „პარტიზანები".

ექსნერის სიტყვის დამთავრება გადატანილია საღამოს სხდომაზე.

19 ივლისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 19 ივლისი. (საკდესი). ტრიბუნალის 19 ივლისის საღამოს სხდომაზე იოდლის დამცველმა ადვოკატმა ექსნერმა დაამთავრა დასაცავი სიტყვა.

ექსნერის სიტყვის დამთავრების შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ბრალდებულ ზაის-ინკვარტის დამცველს ადვოკატ შტაინბაუერს.

ადვოკატი ყოველნაირად აქებდა ამ ჰიტლერელ დამნაშავეს და ცდილობდა მიეჩქმალა მისი პროვოკატორული როლი ავსტრიის წინააღმდეგ აგრესიის მოწყობაში.

ადვოკატმა მნიშვნელოვანი დრო მოანდომა ბრალდებულის საქმიანობას ჰოლანდიაში და ამასთან ტიპიური ფაშისტური შეხედულებები გამოსთქვა.

დამცველ შტაინბაუერის გამოსვლის გაგრძელება გადატანილია ორშაბათისათვის, 22 ივლისისათვის.

ამერიკის ორგანიზაციები პროტესტს აცხადებენ ომის ვეტერან ზანგისადმი პოლიციის მხეცური მოპყრობის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). ამას წინათ გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის თებერვალში სამხრეთ კაროლინის შტატის პოლიციამ განზრახ დააბრმავა ზანგი-ომის ვეტერანი. ამასთან დაკავშირებით ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესისათვის ხელშემწყობმა ნაციონალურმა ასოციაციამ, ქალაქ ნიუ-იორკის ომის ვეტერანთა კომიტეტმა და სხვა ორგანიზაციებმა კამპანია დაიწყეს და მოითხოვენ, რომ მთავრობამ გამოარკვიოს ეს საქმე და ზომები მიიღოს დამნაშავეთა წინააღმდეგ.

გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ ქალაქ ნიუ-იორკის მცხოვრები ზანგი ვუდვარდი არმიაში მსახურობდა სამნახევარ წელს. 15 თვეს იგი ახალ გვინეასა და ფილიპინის კუნძულებზე იყო, სადაც საომარ ოპერაციებში მონაწილეობდა. ვუდვარდი პატივით გაათავისუფლეს არმიიდან თებერვალში, ქალაქ ატლანტაში (გეორგიის შტატი), რის შემდეგ შინ გაემგზავრა ავტობუსით. ავტობუსის შოფერმა ვუდვარდს შეურაცხყოფა მიაყენა და ამანაც მკვახედ უპასუხა. შემდეგ, როცა ავტობუსი ქალაქ ეიკენში (სამხრეთი კაროლინა) გაჩერდა, შოფერმა პოლიციელთან იჩივლა, ვუდვარდმა „არეულობა გამოიწვიაო". პოლიციელმა მაშინვე დაუწყო ცემა ვუდვარდს, განმარტების საშუალებაც კი არ მისცა. როცა ვუდვარდმა თავის დასაცავად, ხელი უტაცა პოლიციელს ჯოხზე, ჩაერია მეორე პოლიციელი. შემდეგ ვუდვარდი საპოლიციო უბანში წაიყვანეს, სადაც მას განზრახ ამოუგდეს ორივე თვალი. ვუდვარდს 12 საათის განმავლობაში საექიმო დახმარება არ გაუწიეს და 50 დოლარით დააჯარიმეს „უწესრიგობისათვის". ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესისათვის ხელშემწყობმა ნაციონალურმა ასოციაციამ ეს ამბავი შეიტყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვუდვარდი ნიუ-იორკში ჩავიდა. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ცენტრმა და ომის ვეტერანების კომიტეტმა ტრუმენსა და გენერალურ პროკურორ კლარკს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მოითხოვენ, რომ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გულდასმით გამოიძიოს ეს საქმე. ასოციაციამ ასეთივე დეპეშა გაუგზავნა სამხედრო სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

გენერალ-ლეიტენანტ კლეის დირექტივა ოკუპაციის ამერიკული ზონის 58 ათასი გერმანელი სამხედრო ტყვის გერმანიის კონტროლქვეშ გადაცემის შესახებ

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ფრანკფურტიდან იუწყება, ამერიკის არმიის რამდენიმე უმაღლესი ხარისხის ოფიცერმა განაცხადა, რომ ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციასა და ამერიკის ჯარების სარდლობას შორის მწვავე უთანხმოებაა ამას წინათ გამოცემული დირექტივის საკითხზე, რომ 58 ათასი ჰიტლერელი გადაცემულ იქნას გერმანიის კონტროლქვეშ 1 სექტემბრიდან. არსებული ცნობებით, არმიის ოფიცრები ერთობ ჰგმობენ ამ წინადადებას, რაც გენერალ-ლეიტენანტმა კლეიმ წამოაყენა სამი თვის წინათ.

მაგრამ, როგორც ამტკიცებენ, კლეიმ გამოიყენა „ძლიერი პირადი ზეგავლენა", რის შედეგადაც 13 ივლისს გამოქვეყნდა დირექტივა, რომელშიც ამერიკის სამხედრო ხელისუფლებს წინადადება ეძლევათ მცველთა მეთვალყურეობაში დასტოვონ დაახლოებით 10 ათასი ჰიტლერელი სამხედრო დამნაშავე, საეჭვო პირნი და სს-ის წევრები, მაშინ როდესაც დანარჩენი 58 ათასი ჰიტლერელი, რომლებიც ამჟამად ინტერნირებულთა ბანაკებში იმყოფებიან, გადაცემულ უნდა იქნას „გერმანიის კონტროლქვეშ".

არსებული ცნობებით, განთავისუფლების ამ გეგმამ დიდი ინტერესი გამოიწვია გერმანელი ბანკირების, ფინანსისტებისა და მრეწველების წრეებში, რომელთა დანაშაული ნაცისტებთან თანამშრომლობის საკითხში ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ განიხილა კანონპროექტი ქვეყნის შიგნით ატომის ენერგიის კონტროლის შესახებ

ვაშინგტონი, 22 ივლისი. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატამ 265 ხმით საბოლოოდ მოიწონა კანონპროექტი ქვეყნის შიგნით ატომის ენერგიის კონტროლის შესახებ და შეიტანა მთელი რიგი შესწორებანი, რომლებსაც მიზნად აქვთ გააძლიერონ სამხედრო წარმომადგენლობა საკონტროლო ორგანოში, აგრეთვე ნება დართონ შეიარაღებულ ძალებს დაამზადონ ატომური ბომბები და შემოიღონ სიკვდილით დასჯა ატომის ენერგიის ინფორმაციის ნებადაურთველი გამჟღავნებისათვის. რამდენადაც წარმომადგენელთა პალატამ მნიშვნელოვანი შესწორებანი შეიტანა კანონპროექტში, რომელიც სენატმა თავდაპირველად 1 ივნისს მოიწონა, ამჟამად წარმომადგენელთა პალატისა და სენატის ერთობლივი სათათბირო კომისია უნდა შეეცადოს აღმოფხვრას უთანხმოებანი.

ქ-ნ ჟოლიო-კიურის განცხადება

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ქ-ნმა ჟოლიო-კიურიმ განაცხადა, რომ მას აოცებს ამერიკის შეერთებული შტატების უარი —ატომის ენერგიის შესახებ ინფორმაცია გადაეცეს ამ ენერგიის გამოსაყენებლად სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოებში. ჟოლიო-კიურიმ განაცხადა: „ეს საკითხი არავითარ სამხედრო მოსაზრებებთან არ არის დაკავშირებული, არამედ ადამიანობის საკითხია. მეცნიერება, განსაკუთრებით ტანჯვის შემამსუბუქებელი საშუალებანი, წინ უნდა მიიწევდეს, მას არ უნდა აინტერესებდეს ეროვნებათა და საზღვართა პრობლემა. მე ვიცი, რომ ამერიკელ მეცნიერთა ცხრა მეათედი იზიარებს ჩვენს თვალსაზრისს ამ საკითხში. ნამდვილი საყოველთაო მშვიდობა არასოდეს არ იქნება, ვიდრე სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები საიდუმლო იქნებიან".

სადამსჯელო ექსპედიციები გლეხთა წინააღმდეგ ფილიპინებზე

ნიუ-იორკი, 22 ივლისი. (საკდესი). ასოშიეტედ პრესის სააგენტოს მანილელი კორესპონდენტის ცნობით, კუნძულ ლუსონის (ფილიპინები) ცენტრალურ ნაწილში გრძელდება სამხედრო პოლიციის ოპერაციები „ჰუკბალახაპის" (გლეხური პარტიზანული ორგანიზაცია, რომელიც ებრძოდა იაპონელ ოკუპანტებს) წევრთა წინააღმდეგ. „ჰუკბალახაპის" ლიდერი ტარუკი ფილიპინების მთავრობას ბრალს სდებს იმაში, რომ იგი ეწევა ორპირულ პოლიტიკას: ლაპარაკობს რა უსისხლო დამორჩილების გეგმაზე, იგი პამპანგისა და ნუევა-ესიხის პროვინციების რეაქციონერ გუბერნატორებს ნებას რთავს გაგზავნონ სამხედრო პოლიციის რაზმები გლეხების წინააღმდეგ. ამიტომ გლეხობა არ ენდობა მთავრობას და წინააღმდეგობას უწევს სამხედრო პოლიციას.

აღნიშნა რა, რომ პამპანგის პროვინციაში მოსახლეობის ერთი პროცენტი ჰფლობს 99 პროცენტ მიწას, ხოლო ლუსონის ცენტრალური ნაწილის სხვა პროვინციებში მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლები ჰფლობს 98 პროცენტზე მეტ მიწას, ტარუკმა განაცხადა, რომ მსხვილი მიწათმფლობელები მხარს უჭერენ „შეჯავშნული მუშტის პროგრამას", რომელსაც პროვინციების გუბერნატორები ახორციელებენ, ვინაიდან მათ სურთ აღდგენილ იქნას ომამდელი ნახევრადფეოდალური სისტემა. მაგრამ „ჰუკბალახაპის" წევრებმა ომის დროს შეიგნეს თავისუფლების მნიშვნელობა და ამიტომ ნახევრად მონობას არ დაუბრუნდებიან.

უმუშევრობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკელი ჯარისკაცი დელიუსი, რომელიც ნიუ-იორკში ამა წლის იანვარში გამართულ პარადში მონაწილეობდა როგორც „ომის გმირი", 18 ივლისს დააპატიმრეს საფულის მოპარვისათვის. დელიუსმა განაცხადა, რომ იგი დიდი ხანია გულმოდგინედ ცდილობდა ეპოვნა სამუშაო და რომ მას დარჩა მხოლოდ შვიდი ცენტი.

პრესა ამას წინათ იუწყებოდა მეორე შემთხვევას, როცა ერთმა საარმიო ოფიცერმა დემობილიზაციის შემდეგ ვერავითარი სამუშაო ვერ იშოვნა, გარდა მენავის სამუშაოსი. იგი ქუჩის დასაგველად გამოვიდა სრული სამხედრო ფორმით და ყველა ორდენით.

რუმინეთიდან საბჭოთა კავშირში გამოემგზავრენ სომხები

ბუქარესტი, 21 ივლისი. (საკდესი). 19 ივლისს ბუქარესტში ზეიმით გადასცეს საბჭოთა კავშირში შესვლის დოკუმენტები 1.100 სომეხს, რომლებიც საბჭოთა სომხეთში მიემგზავრებიან. დოკუმენტების გადაცემის ცერემონია გადაიქცა ბუქარესტის სომეხთა მთელი კოლონიის ნამდვილ დღესასწაულად.

დოკუმენტების გადაცემის წინ შესდგა მიტინგი, რომელზეც ორგანიზაცია „სომხეთის ფრონტის" თავმჯდომარემ დანიელიანმა განაცხადა: „საზღვარგარეთელი სომხები ისტორიულ დღეებს განიცდიან, მათ კვლავ მოიპოვეს სამშობლო. სომეხი ხალხის დაბადების ნამდვილ დღედ შეიძლება ჩაითვალოს ის დღე, როცა წარმოიშვა საბჭოთა სომხეთი".

გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა დელეგაციების თავმჯდომარეთა კონფერენცია

ვარშავა, 22 ივლისი. (საკდესი). 20 ივლისს ვარშავაში გაიხსნა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა დელეგაციების თავმჯდომარეთა კონფერენცია, რომელსაც ესწრებიან პოლონეთის, იუგოსლავიის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის წარმომადგენლები. მოელიან სსრ კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს. თათბირის თავმჯდომარედ არჩეულია ლუქსემბურგის დელეგატი მაიორი ლოლგერი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პოლიტიკური პატიმრების პირველი ყრილობის (შესდგა ამა წლის თებერვალში) მუშაობის, აგრეთვე პოლონეთის დელეგაციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა დელეგატმა ხრომეცკიმ.

ხრომეცკიმ განსახილველად წარადგინა რეზოლუციის პროექტი ესპანეთის შესახებ, შემუშავებული პოლონეთის დელეგაციის მიერ. კონფერენციამ მცირეოდენი შესწორებით დაამტკიცა პოლონეთის დელეგაციის მიერ მომზადებული სტატუტი ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა ფედერაციისა, რაც განსახილველად წარედგინება ბრიუსელის ყრილობას. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება, რომ ფედერაციის მუდმივი სამდივნო იქნება ვარშავაში.

გომინდანის ჯარისკაცთა დეზერტირობა ჩინეთში წარმოებული სამოქალაქო ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად

შანხაი, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ლიანხოვანგბაოს" კორესპონდენტი ნანკინიდან გადმოგვცემს, გენერალმა ლუნ ჯუნ-ძემ (იუნანის პროვინციის ყოფილი გუბერნატორის ლუნ იუნის შვილი) განაცხადა, რომ მისი 24-ე ბრიგადის მთელი პირადი შემადგენლობა გაიპარა ჩინეთში წარმოებული სამოქალაქო ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გენერალი ლუნ ჯუნ-ძე ამჟამად მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება ნანკინში.

ლუნ ჯუნ-ძეს სიტყვით, მისმა ბრიგადამ ივნისის შუა რიცხვებში ბრძანება მიიღო ქვეითად წასულიყო ხანკოუს, რათა გენერალ დუ იუ-მინის ჯარებთან ერთად მანჯურიის გამგზავრებულიყო. ჯარისკაცები, რომლებსაც არ სურდათ მონაწილეობა მიეღოთ სამოქალაქო ომში, თანდათანობით გაიპარნენ და ამჟამად ბრიგადაში ერთი ჯარისკაციც არ დარჩენილა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ლუნ ჯუნ-ძე ნანკინს ჩავიდა სამხედრო მინისტრ ჩენ ჩენთან შესახვედრად. მაგრამ უკანასკნელმა უარი სთქვა მასთან შეხვედრაზე, და 11 ივლისს ლუნ ჯუნ-ძე დააპატიმრეს ჟანდარმებმა, შემდეგ კი იგი გაათავისუფლეს და მეთვალყურეობის ქვეშ დასტოვეს.

ბულგარეთის პრესა მომავალი რეფერენდუმისა და დიდი სახალხო კრების არჩევნების შესახებ

სოფია, 22 ივლისი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნებულია სამშობლო ფრონტის ეროვნული კომიტეტის ცნობა რეფერენდუმისა და დიდი სახალხო კრების არჩევნების საკითხზე. ამავე საკითხისადმი მიძღვნილია გაზეთების მოწინავე წერილები.

— სამშობლო ფრონტის ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, — სწერს გაზეთი — „ოტეჩესტვენ ფრონტი", გამოხატავს ჩვენს ერთგულებას დემოკრატიისადმი და ჩვენს მტკიცე სურვილს სამუდამოდ და საბოლოოდ დავაღწიოთ თავი სამარცხვინო წარსულს, ყოველივე იმას, რასაც შეეძლო რაიმე იმედი მიეცა რეაქციული და რესტავრატორული წრეებისა და შეთქმულთათვის.

ჯელალ ბაიარის განცხადება თურქეთის არჩევნების დღეს

სტამბოლი, 21 ივლისი. (საკდესი). დილით არჩევნების დღეს თურქეთის პრესამ გამოაქვეყნა დემოკრატიული პარტიის ლიდერის ჯელალ ბაიარის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ თურქეთის სხვადასხვა რაიონებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე, საჭიროდ მიმაჩნია მოსახლეობას ვაცნობო შექმნილი მდგომარეობის დედაარსი.

გუშინ და დღეს თურქეთის ბევრ დაშორებულ სოფელში შეადგინეს საარჩევნო აქტები და აღნიშნეს, რომ არჩევნები უკვე ჩატარდა, როგორც თურქეთის რაიონების უმეტესობიდან მიღებული — ცნობებიდან სჩანს. სოფლებში გაგზავნილი ჩვენი პარტიის წარმომადგენლები დააკავეს, მეთვალყურეობის ქვეშ დააყენეს სხვადასხვა საბაბით და უკანვე დააბრუნეს. ამ უკანასკნელმა გარემოებამ შეუძლებელი გახადა არჩევნებისადმი კონტროლი პროვინციაში. ხელისუფალთა იძულებითი გავლენა მოსახლეობისადმი თითქმის ყველგან უკიდურესობამდე მივიდა. ზოგიერთ რაიონში ოფიციალურად განაცხადეს, რომ ის პირნი, ვინც ხმას აძლევს დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს, უმკაცრესად დაისჯებიან. თურქეთის ბევრ ადგილებში დააპატიმრეს ჩვენი პარტიის მთელი რიგი წევრები. ის გარემოება, რომ მსგავსი მოქმედება ხორციელდება ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა რაიონში და ერთნაირი ხასიათისაა, მოწმობს, რომ ეს მოქმედება ხდება სისტემატურად და ერთი და იგივე ცენტრის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლება თავისუფალ არჩევნებზე, ჩვენმა პარტიამ მაინც გადასწყვიტა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, რათა გამოსთქვას ხალხის ნება-სურვილი და შეასრულოს ეროვნული ვალი".

იტალიის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის მომავალი დათხოვნა

რომი, 22 ივლისი. (საკდესი). ანსას სააგენტო იუწყება, რომ რომში შეკრებილმა ეროვნული განთავისუფლების ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო დაშლილ იქნას 1 აგვისტოს იტალიის ეროვნული განთავისუფლების ცენტრალური, საოლქო, პროვინციული და სათემო კომიტეტები, რადგან „მათი ფუნქციები ამოწურულად მიაჩნიათ" დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და სახელმწიფოს დროებითი მეთაურის არჩევის შემდეგ".

„რადგან ახალი მთავრობის პროგრამა სწყვეტს საკითხს საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ადმინისტრაციული კომიტეტების შესახებ", ცალკეულ საწარმოებში არსებული ეროვნული განთავისუფლების კომიტეტები აგრეთვე დაშლილად ცხადდებიან.

უმუშევართა დემონსტრაციები ფლორენციაში

რომი, 22 ივლისი. (საკდესი). 20 ივლისს მთელი დღის განმავლობაში ფლორენციაში იმართებოდა უმუშევართა დემონსტრაციები, რამაც გამოიწვია მოძრაობის გაჩერება ქალაქში და მაღაზიების დახურვა. პოლიცია ერეკებოდა დემონსტრანტებს. პროვოკატორთა ჯგუფები, რომლებიც დემონსტრანტებს შეუერთდნენ, ცდილობდნენ გამოეწვიათ შეტაკება პოლიციასთან და მოეხდინათ რბევა. უმუშევრები მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ღონისძიებათა მიღებას ქალაქში უმუშევრობის სალიკვიდაციოდ.

გაფიცვები ინდოეთში

ლონდონი, 22 ივლისი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, ინდოეთში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ტელეგრაფის მუშაკთა გაფიცვა. გაფიცვა დაიწყო ბომბეიში, და გუშინ კავშირი დანარჩენ ინდოეთთან თითქმის მთლიანად დარღვეული იყო. ქალაქში თავმოყრილია ინგლისისა და ინდოეთის ჯარები.

გაფიცვები გრძელდება მადრასში, კალკუტაში და სხვა ქალაქებში.

საომარი მოქმედება ინდონეზიაში

ჰააგა, 22 ივლისი. (საკდესი). ჰოლანდიის სააგენტო ანპი ბანდუნგიდან იუწყება, რომ ჰოლანდიის ჯარები სამხედრო ოპერაციებს განაგრძობდნენ მდინარე ტიტარუმის სამხრეთით და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ვანდიარანი და სურეანგი. ანპის ცნობით, ქალაქ მედანში ბრძოლები გრძელდება. ინგლისისა და ინდოეთის ჯარებმა ტყვიამფრქვევი და ავტომატი დაუშინეს ინდონეზიელთა პოზიციებს.

ღირსეული ჯილდო

ამ დღეებში თბილისის მუსიკალური ათწლედის მოსწავლეს ნორჩ მევიოლინე გარი ოქროპირიძეს გადაეცა მთავრობის ჯილდო— მედალი „კავკასიის დაცვისათვის".

გარი ოქროპირიძე 15 წლისაა. მას კარგად იცნობს თბილისის საზოგადოებრიობა. არაერთხელ გამოსულა ის წარმატებით დიდ კონცერტებზე, არაერთხელ დაუმსახურებია გამოჩენილი საბჭოთა მუსიკოსების მაღალი შეფასება.

ნიჭიერი მევიოლინის სახელი განსაკუთრებით პოპულარული იყო სამამულო ომის პერიოდში წითელი არმიის მეომართა შორის. დაჭრილი მეომრებითა და ოფიცრებით გაჭედილ კლუბებში, მწოლიარე ავადმყოფთა პალატებში, ჯარის ნაწილებში იგი ოსტატურად ასრულებდა პაგანინის, ჩაიკოვსკის, ბახის, ბეთჰოვენისა და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებებს, აღტაცებას იწვევდა მსმენელთა შორის.

წითელი არმიის მეომართა კულტურულ-შეფო მომსახურების საქმეში ჩინებული მუშაობისათვის გარი ოქროპირიძეს მიღებული აქვს აგრეთვე ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სამხედრო-საშეფო კომისიის სიგელი.

გარი ოქროპირიძე მე-10 კლასში გადავიდა საუკეთესო ნიშნებით. ის დაჟინებით მუშაობს შესრულების ტექნიკისა და ოსტატობის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

დისერტაციების დაცვა სოფლის მეურნეობის საკითხებზე

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრობიოლოგიური საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციები დაიცვეს ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომლებმა სიმონ ფირცხალაიშვილმა („ჩაის ყლორტების ონტოსტადიური განვითარების გავლენა მის დაფესვიანებაზე") და სილოვან მგალობლიშვილმა („ქარების მოქმედება სუბტროპიკულ კულტურებზე და ქარსაფარი ზოლების გაშენების ძირითადი მომენტები").

ნაშრომები მოიწონეს ოფიციალურმა ოპონენტებმა: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ქ. ბახტაძემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა შ. ზალდასტანიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა ვ. გულისაშვილმა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა კ. კელენჯერიძემ.

ნაშრომებს მაღალი შეფასება მისცეს აგრეთვე მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ნ. ხომიზურაშვილმა და საქართველოს სსრ აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ტ. კვარაცხელიამ.

აგრობიოლოგიურმა საბჭომ ფარული კენჭისყრით ს. ფირცხალაიშვილს და ს. მგალობლიშვილს ერთხმად მიანიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

26 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქუჩა № 2) მოწვეულია **საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მორიგი პლენუმი.**

მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხი

მოგებიანი გამოშვების

მოგებათა მეექვსე ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1946 წლის 6 და 7 ივლისს ქალაქ გორკში. მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის მეექვსე ტირაჟში მოგებანი ხვდათ სესხის მოგებიანი გამოშვების ყველა 200 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
020345	1—50	200	030924	1—50	200
020658	44*)	10000	030925	49*)	1000
020727	26*)	1000	030961	02*)	1000
020728	1—50	200	031129	21*)	5000
020914	26*)	1000	031317	12*)	1000
020971	1—50	500	031333	18*)	1000
020973	17*)	1000	031403	1—50	200
021006	02*)	1000	031482	27*)	1000
021032	01*)	1000	031668	23*)	1000
021120	31*)	1000	031719	1—50	200
021190	11*)	1000	031843	1—50	200
021251	1—50	500	031886	38*)	1000
021544	1—50	200	031909	1—50	500
021592	1—50	200	031929	39*)	1000
021689	05*)	1000	032035	1—50	200
021794	21*)	1000	032122	15*)	1000
022152	16*)	10000	032208	50*)	1000
022253	08*)	1000	032298	1—50	200
022537	14*)	1000	032309	19*)	1000
022543	1—50	200	032441	19*)	1000
022676	1—50	200	032450	21*)	1000
022807	1—50	500	032501	1—50	200
022892	34*)	1000	032550	1—50	200
022958	43*)	1000	032601	1—50	200
023135	1—50	200	032606	1—50	200
023768	35*)	5000	032623	11*)	5000
024306	29*)	1000	032776	1—50	200
024924	15*)	1000	032981	1—50	200
025188	1—50	200	033175	1—50	500
025269	1—50	500	033213	50*)	1000
025476	26*)	1000	033410	03*)	1000
025559	01*)	1000	033430	28*)	1000
025795	40*)	5000	033540	26*)	25000
025825	50*)	1000	033732	24*)	1000
025833	23*)	1000	033848	48*)	1000
026042	1—50	500	034074	26*)	1000
026206	34*)	10000	034253	42*)	1000
026242	04*)	1000	034316	14*)	5000
026258	1—50	200	034343	05*)	1000
026342	1—50	200	034456	1—50	500
026476	21*)	1000	034463	1—50	200
026617	14*)	1000	034471	10*)	1000
026769	1—50	500	034540	03*)	1000
026905	23*)	1000	034556	1—50	200
027023	31*)	1000	034751	1—50	200
027126	06*)	1000	034823	1—50	200
027312	1—50	200	034977	02*)	1000
027438	1—50	500	035204	04*)	1000
027529	30*)	1000	035581	1—50	500
027833	22*)	1000	035601	1—50	500
027838	48*)	1000	035826	07*)	1000
027862	02*)	1000	035836	50*)	1000
027910	05*)	1000	036223	1—50	200
027938	32*)	1000	036306	45*)	1000
028086	42*)	1000	036313	19*)	1000
028108	15*)	1000	036363	44*)	10000
028382	1—50	500	036511	12*)	1000
028442	1—50	500	036525	1—50	200
028461	34*)	1000	036637	38*)	1000
028514	47*)	1000	036691	43*)	1000
028532	25*)	1000	036915	02*)	1000
028553	04*)	50000	037181	1—50	200
028653	15*)	25000	037240	1—50	500
028744	25*)	1000	037370	42*)	1000
028880	32*)	1000	037504	29*)	1000
028937	19*)	1000	037641	11*)	1000
029033	20*)	1000	037647	20*)	1000
029170	30*)	5000	037733	29*)	1000
029250	40*)	1000	037807	04*)	1000
029305	21*)	1000	037863	22*)	1000
029306	46*)	1000	037882	1—50	500
029354	44*)	1000	038077	25*)	1000
029413	1—50	200	038423	01*)	1000
029458	36*)	1000	038444	1—50	500
029463	48*)	1000	038903	08*)	5000
029592	41*)	1000	038973	1—50	200
029832	1—50	500	038997	1—50	200
030007	25*)	5000	039273	30*)	10000
030150	1—50	500	039298	41*)	1000
030188	46*)	1000	039331	26*)	1000
030343	36*)	1000	039425	1—50	500
030406	44*)	1000	039465	06*)	1000
030512	10*)	5000	039495	31*)	5000
030620	14*)	1000	039541	1—50	200
030622	26—50	200	039696	38*)	1000
030675	37*)	1000	039740	04*)	1000
030731	38*)	1000			

---

*) ამ სერიის ყველა დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდათ 200 მანეთი მოგება თითოეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
ა. მ. შულკინი
სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი
ვ. ვ. ზუევი

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

25 ივლისს, დილის 9 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. კალანდაძე.

ლექცია

26 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ხეთაგუროვის ქუჩა № 2) რუსულ ენაზე შესდგება ამხ. კალინინის ლექცია თემაზე: **„ამიერკავკასიაში ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლის ისტორიისათვის".**

შესვლა თავისუფალია.

თეატრებში

24 ივლისს: ახუნდოვის სახელობის — „ვისი ქორწილია". ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — „თამბაქოს კაპიტანი".

კინოებში

24 ივლისს: რუსთაველის სახელობის და კომკავშირელი (საზაფხულო) — „დიდი ვალსი", (ზამთრის) — „მასკარადი". ოქტომბერი— „სილვა". დამკვრელი (საზაფხულო) — „ორი მებრძოლი", (ზამთრის) — „ბალერინა". სპარტაკი — „ვოლგა-ვოლგა". ლუქსემბურგის სახელობის — „მდიდარი საცოლე".

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმი 1946-47 სასწავლო წლისათვის აცხადებს მსმენელთა მიღებას ტექნიკუმის I კურსზე.

ტექნიკუმში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. მეცადინეობა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე. ტექნიკუმი ამზადებს შემდეგი სპეციალობის ტექნიკოსებს: 1) საელმავლო, 2) სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება (ს. ც. ბ.), 3) მოძრაობის და სატვირთო მეურნეობის ორგანიზაცია.

განცხადებების მიღება სწარმოებს 1 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, შვიდწლედის დამთავრების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 3 ფოტოსურათი და ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირნი 14-დან 30 წლის ასაკამდე. ის პირნი, რომელთაც 1945-46 სასწავლო წელს არასრული საშუალო სკოლა დაამთავრეს ფრიადზე, ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ, დანარჩენები გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: სსრკ კონსტიტუციაში, მათემატიკაში, მშობლიურ ენასა და რუსულ ენაში (ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის).

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. № 13, ტელეფონი 3-36-68.

ტექნიკუმის უფროსი, წევის ინჟინერ-მაიორი ბაბუნია

მოქალაქე **სტეფანე არკადის-ძე კარახანოვმა,** მცხოვრებმა სასამართლოს ჩიხში № 8, აღძრა საქმე ნინოშვილის ქ. № 14-3 მცხოვრებ მოქალაქე **იულია პეტრეს-ასულ კარახანოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე ვოლჩიკამ,** მცხოვრებმა სამრეწველო დასახლება № 13, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ თევდორეს-ასულ ოხრიმენკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების № 2 სამშობიარო სახლის თანამშრომლები იუწყებიან ილია კობახიძის მეუღლის ოლია იორდანეს-ასულ კობახიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/VII, 8 ს. გამოსვენება 25/VII, 6½ ს. ლოტკის მეორე შესახვევი, 7.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან ასისტენტ თინათინ ცომაიას მამის ივანე ზაქარიას-ძე ცომაიას გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება შალვა ავქსენტის-ძე ცხადაიას გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/VII, ქ. ფოთში, გამოსვენება ჯორჯაძის ქ. № 20.

ოჯახი იუწყება ისაკ კეზრას-ძე შალოლაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 24/VII, 8 ს. გამოსვენება 25/VII, 6 ს. ჩახრუხაძის, 29.

ოჯახი იუწყება ანეტა დავითის-ასულ ვაშაკიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ დიდ ჯიხაიშში 27/VII.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00078